დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნატო გაბოშვილი–**ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,**

წევრები:

ნატო კვეტენაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

ლია ბოგვერაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ინგა გოგალაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);

ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	227752544

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	გურჯაანი, სოფელი არაშენდა
ფაქტობრივი მისამართი	გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი არაშენდა
საფოსტო ინდექსი	1501
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1007
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gurarashenda@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577745419

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0 25 0000835390, 08.07.25
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	28, 29 ივლისი 2025 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი არაშენდის შენობა-ნაგებობა ერთი გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი დარჩეთი, შენობა-ნაგებობა ერთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი არაშენდის შენობა-ნაგებობა ერთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი არაშენდის შენობა-ნაგებობა ერთი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 8 ივლისის, MES 0 25 0000835390, ბრძანების საფუძველზე, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2025 წლის 28, 29 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლაში.

ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტებმა აღნიშნეს , რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო კარგად ორგანიზებული, შინაარსობრივად გამართული, შესაბამისად შეიმუშავდა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებით წარმოსადგენი მცირე ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის პირველსავე დღეს სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელთანაც ექსპერტებს ჰქონდათ კომუნიკაცია და საქმიანი ურთიერთობა. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, ბიბლიოთეკარს და სხვა პირებს. განასკუთრებით გამოიკვეთა სკოლის დირექტორის, როგორც საგანმანათლებლო ლიდერის როლი. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. დაწყებითი საფეხურის ფარგლებში არსებული მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით დაწყებითი საფეხურის ექსპერტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან. მათ ერთდროულად წარმართეს ინტერვიუირების პროცესი, მოქმედებდნენ შეთანხმებულად.

დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუირების პროცესში, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, წარემართათ შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევა. ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები ასახულია რჩევების ცხრილში. საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო კონკრეტული დოკუმენტების ადგილზე წარმოდგენა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა კორპუსი ისევ შეხვდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გააცნო წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული კონკრეტული მიგნებები და რჩევები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს მაღალი თანამშრომლობითი კულტურა კოლეგებს შორის. სკოლის დირექტორის, როგორც საგანმანათლებლო ლიდერის გამოკვეთილი როლი. სწორი და მჭიდრო კომუნიკაცია მშობლებთან, თემთან,. რაც განპირობებულია მშობლებთან ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვით, მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის საშუალებით. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი ,, აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა" კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, სამოქალაქო და დებატ კლუბები; არჩევით საგნად ისწავლება დებატები;

სკოლა ჩართულია საპილოტე პროექტში, რომლის ფარგლებში სკოლაში ისწავლება სამხედრო საქმე. გარდა სტანდარტული საგაკვეთილო პროცესისა, ტარდება საველე მეცადინეობები, მოსწავლეები სტუმრობენ თავდაცვის სამინისტროს ბაზებს და მონაწილეობას იღებენ ჯარის ბანაკში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 345	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო (სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური*	ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში, 2026 წლის მაისამდე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამ უწყებასთან , ხოლო მიმართვის წარდგენა უფლებამოსილ უწყებასთან შენობ ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახ 01.05.2025-01.05.2026 პერიოდში.

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ წერილობითი დასტური*	სოფელ დარჩეთის სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობ გაუმჯობესებამდე, სკოლის მოსწავლეები გადაყვანილ იქნან არაშენდ სკოლის შენობაში, ტრანსპორტით უზრუნველყოფის პირობებით.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	**სპორტი:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იყოს თემების უფრო მრავალფეროვანი არჩევანი. რადგან სპორტული დარბაზი და გარე სპორტულ მოედანი აღჭურვილია კალათბურთის ფარებით, ასევე სკოლას აქვს მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარი, კარგი იქნება თუ „კალათბურთს“ და „მაგიდის ჩოგბურთს“ შეიტანენ კურიკულუმებში
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: რჩევა 1.** საგნობრივი სტანდარტით მოცემული ყველა თემა იყოს გათვალისწინებული კურიკულუმში. მაგალითად: მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმში არაა წარმოდგენილი თემა: “მოსამზადებელი პერიოდი; თემა ფრიად მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, რადგან ისინი პირველად იწყებენ აღნიშნულ კლასში ფიზიკის შესწავლას. **რჩევა 2:** ყველა საფეხურზე და ყოველ კლასში გასათვალისწინებელია თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. კერძოდ, ქიმიის კურიკულუმებში, მე-8 კლასში, თემა: წყალი, ხსნარები, ასევე მე-10 კლასში, თემა: ელექტროსტატიკა, **სახელმწიფო ენა:** მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი

		შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.
*ინდიკატორი N **2.1.2.3.***	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** დაწყებითი საფეხურის მე-3 და მე-6 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. მიეთითოს გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. მიეთითოს გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება
ინდიკატორი N 2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**სახელმწიფო ენა:** თვალსაჩინოდ გამოიკვეთოს სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, განხორციელებული აქტივობები და დავალებები.
*ინდიკატორი N **2.1.2.5.***	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ესთეტიკური აღზრდა:** მუსიკის საგანში, სასურველია, საბაზო საფეხურის ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა და ჟანრი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში გაიწეროს დამოუკიდებლად თემასა და საკითხთან მიმართებაში და მიენიჭოს მათ 1 ქულა, რაც ჯამში შეადგენს დადებითი შეფასების 6 - მაქსიმალურ ქულას. **სპორტი:** სასურველია, რომ შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს თემის სპეციფიკა და უფრო მეტად დაკონკრეტდეს შეფასების კრიტერიუმები. **ტექნოლოგიები:** საჭიროა შეფასების კრიტერიუმები მორგებული იყოს კონკრეტულ სასწავლო აქტივობას, ნათლად ასახავდეს აქტივობის საბოლოო შედეგის მიღწევის ეტაპებს , აქტივობის მიზნიდან გამომდინარე. სასურველი

		იქნებოდა სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს პროფესული განვითარების მიზნით შეფასების სისტემის შესახებ დამატებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა. **სახელმწიფო ენა:** როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწონ, მოარგონ სასწავლო თემებს, გაითვალისწინონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და სტანდარტის შედეგები.
ინდიკატორი N 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**ისტ:** სასურველია, შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მკაფიოდ ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნის და მოსწავლის ნაშრომის შესრულების ეტაპების გათვალისწინებით საბოლოო შედეგის შეფასებისთვის. **სახელმწიფო ენა:** როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწონ, მოარგონ სასწავლო თემებს, გაითვალისწინონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და სტანდარტის შედეგები.
ინდიკატორი N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**მათემატიკა:** **რჩევა 1** სასურველია, თემის დამუშავებისას რესურსების სვეტში ჩაწეროთ კონკრეტულად იმ რესურსის/რესურსის ბმულის მისამართი, რაც შესაბამისი საკითხის დამუშავებას ემსახურება და ჰიპერბმულის საშუალებით მიამაგროთ კონკრეტული საკითხის სათაურს. ეს დაგეხმარებათ რესურსების მარტივად შერჩევაში საკითხის სწავლების დროს. **რჩევა 2:** სასურველია, შემოქმედებითი დავალების სვეტში მხოლოდ სათაური ჩაიწეროს იმ დავალებისა, რის დამუშავებასაც გეგმავთ, ხოლო შემოქმედებითი დავალება ბარათის სახით დანართად წარმოადგინოთ, ეს ხელს შეუწყობს კურიკულუმის ლაკონურობას და მის ვიზუალურად ლამაზი სახით წარმოდგენას. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** ზოგიერთი საგნის კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. სასურველია

		დაკონკრეტდეს მითითებული რესურსების ბმულების მისამართები და დასახელებები. **სახელმწიფო ენა:** სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები უფრო გაამრავალფეროვნონ.
ინდიკატორი N 2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მე-3 და მე-6 კლასის კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. სასურველია დაკონკრეტდეს მითითებული რესურსების ბმულების მისამართები და დასახელებები.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო*	*რჩევა- შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის აყვანის თაობაზე.*

	უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური	
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, რისთვის არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმ უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთ შეთანხმებული საგანგებ სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლ მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთ შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახ უფლებამოსილი ორგანოს მი გაცემული შენობის ექსპლუატაცი უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/ სსიპ - საგანმანათლებლო სამეცნიერო ინფრასტრუქტურ განვითარების სააგენტოს მი გაცემული წერილობითი დასტური*	სოფელ დარჩეთის სკოლის მოსწავლეების ინტეგრაცია დროებით, მოხდ არაშენდის სკოლასთან, ვიდრე დარჩეთის სკოლის შენობის ტეკნიკურ მდგომარეობა არ იქნება დამაკმაყოფილებელი.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*

ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას დარჩეთის დაწყებით სკოლასთან მიმართებაში, რადგან სკოლა აღნიშნავს, რომ მშობლების თანხმობის, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობის საფუძველზე, ვიდრე დარჩეთის სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არ იქნება დამაკმაყოფილებელი, ახალი სასწავლო წლიდან დარჩეთის დაწყებითი სკოლის სასწავლო პროცესი განხორციელდება არაშენდის საჯარო სკოლის ახლად რეაბილიტირებულ ძირითად შენობაში, პირველ ცვლაში. ასევე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა შეუფერხებელი ტრანსპორტირების უზრუნველყოფა, რის დამადასტურებელი დოკუმენტი - 2025 წლის 2 სექტემბრით დათარიღებული - გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის წერილი N 90-9052455151, მტკიცებულების სახით წარმოადგინა. ამ გარემოების გათვალისწინებით, დასკვნის პროექტში, მე-3 სტანდარტის შეფასება-„არ შეესაბამება“- შეიცვალა შეფასებით „მეტწილად შეესაბამებაა“

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მორგებულია სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებსა და შესაძლებლობებზე. იგი ასახავს ორგანიზაციის ფუნდამენტურ დანიშნულებას, გამოკვეთს იმ ძირითად მიზანს, რაც აკისრია ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას. თითოეულ მოსწავლეს მისი უნარებისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, საშუალება ეძლევა ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულფასოვანი გამოვლენისა. სკოლის მისია და ხედვა სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი ნაწილია. მასში აღწერილია სკოლის როლი თანასწორი, სამართლიანი და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული მოსწავლეების აღზრდა-განვითარებაში. სკოლის მისია ითვალისწინებს შემდეგს: სკოლამ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში სწავლა-სწავლების ინოვაციურ-ეფექტური სტრატეგიების დანერგვით ხელი შეუწყოს ხარისხიან განათლებაზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს მოზარდს ჩამოუყალიბოს უწყვეტი განვითარებისა და ცხოვრებაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავების უნარი. სკოლის ხედვა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან: სკოლა იქნება მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება შეძენილი ცოდნის ცხოვრებაში რეალიზებასა და არსებული პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზების შერჩევა-გამოყენებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.**

სკოლის მისიასა და ხედვაში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ კეთილდღეობაზე ზრუნვასა და სასკოლო საზოგადოებისათვის პოზიტიური გარემოს შექმნაზე. ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების/ თემის პრიორიტეტებს, ღირებულებებსა და გამოწვევებს. მისიაში ჩანს, რომ სკოლა არის ურთიერთობის სივრცე, სადაც მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, უსაფრთხო და წამახალისებელი გარემოს არსებობა, ურთიერთპატივისცემა და თანასწორობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლის ყველა მოსწავლეს აქვს სიტყვის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა; სკოლაში ფუნქციონირებს:

დებატკლუბი, მკითხველთა კლუბი, მედიაწიგნიერების კლუბი, რომლებშიც გაწევრიანებული მოსწავლეები ჩართულნი არიან კლასგარეშე აქტივობებში. ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, მშობელთა აქტიური ჩართულობა, სასკოლო-შემეცნებითი ექსკურსიების მოწყობა, ლაშქრობები, გუნდური და თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას, რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიურების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია გუნდურად, სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, გააზრებული და გაზიარებულია პასუხისმგებლობით. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. შექმნილია სამუშაო ჯგუფი და ჩატარებულია სასკოლო საზოგადოების კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა, საგნობრივ კათედრებზე და მშობელთა კრებებზე მიღებული უკუკავშირით გათვალისწინებული იქნა მათი ინტერესები, სურვილები და შეხედულებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

ინტერვიურებისა და მტკიცებულებათა ანალიზის შედეგად გარკვა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების პირველადი ვერსიის შემუშავება მოხდა სასკოლო საზოგადოების მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, შემდეგ კი სასკოლო საზოგადოების მიერ გადაიხედა და გაზიარდა საგნობრივ კათედრებსა და მშობელთა კრებებზე. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსია დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე გამოქვეყნებულია სკოლის ვებ–გვერდზე და სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლა, აღნიშნული ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია სასწავლო წლის დასაწყისში. სასკოლო სასწავლო გეგმა თავის მხრივ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის დასახელება, სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი -განათლების სამინისტროს ბრძანების N448, 15.09.2005 წ. საფუძველზე სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს -- სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისია,ხედვა ღირებულებები - დოკუმენტი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ბრძანება 2-107 სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება N2-108 - სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- კითხვარის ბმულები
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N2
- მშობელთა კრების ოქმი N5
- კათედრის სხდომის ოქმი N6
- მისია,ხედვა,ღირებულებები(ფოტო მასალა)
- კათედრის სხდომის ოქმი N8
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N10
- წიგნის კლუბის წესდება
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (არაშენდა)
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (დარჩეთი)
- საკადასტრო -არაშენდის სკოლა
- საკადასტრო -დარჩეთის სკოლა

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.**

სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 6 სექტემბრის #8 სხდომაზე დამტკიცებული და წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. იგი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. მომავალ წელს სკოლას განსაზღვრული აქვს იხელმძღვანელოს მეთოდოლოგიის მიხედვით შექმნილი სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმისა და მისგან გამომდინარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. იგი ციკლურია და მოიცავს 2024 წლის სექტემბრიდან 2031 წლის სექტემბრამდე პერიოდს. სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ამოცანების ინდიკატორები და აქტივობები გაწერილია შვიდწლიან პერიოდზე. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან შექმნილია და ეფუძნება ერთწლიან სამოქმედო გეგმას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიურების საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში შემუშავდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, განხილულ იქნა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ. სასწავლო წლის ბოლოს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე სკოლამ დაადგინა საჭიროებები ყველა მიმართულებით, რაც აისახება მომავალი სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები.

გამოყოფილია შვიდი ძირითადი მიმართულება:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- ორგანიზაციული განვითარება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-107- სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- სკოლის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N7
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N8

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული და დამტკიცებული ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტურ მექანიზმებს. ეს უზრუნველყოფს სკოლის განვითარების უწყვეტობასა და მიზნების მიღწევის ეფექტურობას. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით დადგენილია სტრატეგიული გეგმის რეგულარული გადახედვა. განხილვის მიგნებები/დასკვნები გათვალისწინებული იქნება ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. აღნიშნული განხილვის შედეგად, შესაძლებელი იქნება სტრატეგიული განვითარების დოკუმენტსა და მონიტორინგის გეგმაში შეტანილ იქნას ცვლილებები. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულებას მონიტორინგს გაუწევს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლაში შექმნილია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სკოლა გეგმავს, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი განახორციელოს

უწყვეტად. მონიტორინგს უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი. პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის დაგეგმარების მეთოდოლოგია და სკოლასთან ინტერვიურება ცხადყოფს, რომ სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები განიხილება პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების განთავსებას საინფორმაციო დაფასა და ვებ–გვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლას გაცნობიერებული აქვს, რომ სტრატეგიული განვითარება ციკლური პროცესია. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად, სამოქმედო გეგმა შეიძლება შეიცვალოს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე, მისიაში/ხედვაში/სტრატეგიულ გეგმებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, სასკოლო საზოგადოების წევრთა უკუკავშირის გათვალისწინების შედეგად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-107, სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება 2-32, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- პედსაბჭოს სხდომის ოქმი N8
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N5

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების დებულება, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება სკოლის სტრუქტურული ერთეულებისგან: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, საგნობრივი კათედრები, ტექნიკური პერსონალი. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება საჯარო სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დებულების შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების და საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დებულებისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული სქემა;
- ბრძანება N1/კ-65, თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცება;
- ექიმის ხელშეკრულება;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- შინაგანაწესი

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება სკოლის მისიას, ღირებულებებსა და მიზნებს. პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პროცესების წარმართვა ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით, ასევე შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;**

პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისათვის, სკოლა საჭიროების შემთხვევაში (პერსონალის საავადმყოფო ფურცელზე და დეკრეტულ შვებულებაზე გასვლის შემთხვევაში) ახდენს ადამიანური რესურსების ანალიზს, რომლის საფუძველზეც რეაგირებს (შეცვლა/ჩანაცვლება). მოვალეობების გადანაწილება ხდება სკოლაში დასაქმებულ თანამშრომლებზე. სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა, როგორც მასწავლებლების, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის არყოფნის შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება სკოლის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად. სკოლაში წარმოდგენილია შეცვლა-გაცდენების ჟურნალი. მასწავლებლის არყოფნისას, უპირატესობა ენიჭება იმავე კათედრის ან მომიჯნავე კათედრის მასწავლებელს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელშიც განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში სასწავლო საგნის ვაკანტური საათების შემთხვევაში ცხადდება შიდა ან ღია კონკურსი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სკოლა აიყვანს შემცვლელ ან მოწვეულ მასწავლებელს. ღია კონკურსის მეშვეობით. პერსონალის შერჩევის პროცესისთვის იქმნება საკონკურსო კომისია და ვაკანსია თავსდება http://teacherjobs.ge/, https://hr.gov.ge/- ზე. საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით ხდება კანდიდატების დოკუმენტების გადარჩევა. კონკურსის მე-2 ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან კომისია ატარებს გასაუბრებას და გასაუბრების შედეგების საფუძველზე სკოლის დირექტორს წარუდგენს შერჩეულ კანდიდატს ვაკანტურ პოზიციაზე დასაქმების მიზნით. კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატისთვის ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. სკოლის თანამშრომელთა პირად საქმეში ინახება კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნილი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არის დამტკიცებული. შერჩეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ შემუშავებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლას ჰყავს უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე პედაგოგები, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი

ხელშეკრულება. სკოლას ასევე ჰყავს კვალიფიციური ადმინისტრაციის წევრები: ექიმი, ბიბლიოთეკარი და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს** სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა. როგორც ინტერვიუირებით ირკვევა, შეთანხმებულად მუშაობენ საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები. საჭიროების შემთხვევაში იქმნება სამუშაო ჯგუფები, კომისიები. წარმატებით ხორციელდება გამოცდილებათა გაზიარება, პრობლემური საკითხების ერთობლივი განხილვა, კერძოდ კათედრის წევრებსა და კათედრებს შორის ხორციელდება ურთიერთდასწრებები, ხდება უკუკავშირის მიცემა და გამოვლენილი საჭიროების შემთხვევაში ხდება გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი ტრენინგის შეთავაზება. თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის კარგ მაგალითს წარმოადგენს სასკოლო პროექტი: ,,ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა", რომელშიც ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრების უმრავლესობა. სკოლაში, დირექტორის ბრძანებით შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის მხარდაჭერას, ძირითადი და დამხმარე პროცესების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**სკოლა მხარს უჭერს და აღიარებს სასკოლო საზოგადოების წევრთა წარმატებებს. სკოლას აქვს სოციალური ვებ- გვერდი (facebook) -https://www.facebook.com/ , სადაც სისტემატიურად ზიარდება საგანმანათლებლო სისტემაში დაგეგმილი სიახლეები, შუქდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, ქვეყნდება სკოლის მიერ ჩატარებული აქტივობების ამსახველი მასალა, ოლიმპიადების, კონკურსების შედეგები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა წარმატებები და ასევე არაფორმალური განათლების კუთხით სახვადასხვა პროექტებში მონაწილეობის ამსახველი მასალა. სკოლას აქვს მასწავლებელთა სასაუბრო ჯგუფი ,,მასწავლებლები", სადაც ზიარდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება :

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-42, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
- წამყვანი, მენტორი, უფროსი მასწავლებლების ხელშეკრულებები;
- ბრძანება N1/კ-24, გაცდენილი საათების (საავადმყოფო ფურცლის) ჩატარების შესახებ;
- ბრძანება 1/კ-65 თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ;

- ბრძანება N2-83, მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- ბრძანება 2-85, მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შესავსებად საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ;
- კათედრის სხდომის ოქმი N1;
- ფოტო სოციალურ ქსელში;
- ბრძანება N1/კ-28, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სასკოლო პროექტი: ,,ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა".

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**. სკოლა ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების პროფესიულ განვითარებაზე. სკოლას აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის შეფასების მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმი არის გამჭვირვალე, მკაფიო და ნათელი. სკოლაში პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა უკეთ დადგენის მიზნით შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომელიც პერიოდულად მართავს შეხვედრებს სკოლის პერსონალთან, სადაც ხდება საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია..**
2. **სკოლა მუდმივად ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე.** სკოლაში შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, რომელმაც პირველ სხდომაზე შეიმუშავა პერსონალის განვითარების საჭიროებათა კვლევის კითხვარი. კითხვარის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე დგინდება პერსონალის საჭიროებები, რომლებიც აისახება სკოლის მომავალი

წლის სამოქმედო გეგმაში და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები პერსონალის განვითარების კუთხით. მასწავლებელთა ინდივიდუალური პროფესიული საჭიროებების დადგენის მიზნით, სკოლის კათედრის წევრებს შორის ხშირია ურთიერთდასწრება საგაკვეთილო პროცესზე, აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან სკოლის დირექციის წარმომადგენლებიც. მოსმენილი გაკვეთილის შემდეგ პედაგოგს ეძლევა უკუკავშირი, საკითხი განიხილება კათედრის სხდომებზე , გამოიკვეთება საჭიროებები და პედაგოგს ეძლევა რეკომენდაცია, რის საფუძველზეც გეგმავს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო აქტივობებს. საჭიროებიდან გამომდინარე იგეგმება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები, როგორც შიდა რესურსის გამოყენებით ასევე სკოლის დაფინანსებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლა სისტემატიურად ზრუნავს და მხარს უჭერს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას და კარიერულ წინსვლას.** არსებული მონაცემებით სკოლას ჰყავს 3 წამყვანი, 1 მენტორი და 23 უფროსი მასწავლებელი. პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო წლის განმავლობაში ჩასატარებელი სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების გეგმა, რომლის ჩატარებას სკოლა უზრუნველყოფს შიდა რესურსით, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა შორის გუნდური და თანამშრომლობითი ხასიათის ურთიერთობების გაღრმავებას. სკოლაში მოქმედი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუმჯობესებაზე. სკოლა ეხმარება მასწავლებლებს განახორციელონ კარიერული წინსვლისთვის საჭირო აქტივობები. განიხილავს და იზიარებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. პედაგოგებს აცნობს საკანონმდებლო სიახლეებს და ეხმარება შესაბამისი რესურსების მოძიებაში (ინფორმაცია, ტრენინგები, კონფერენციები, ელექტრონული რესურსები). სკოლა აძლევს შესაძლებლობას მასწავლებლებს საკუთარი თავის წარმოჩენის მიზნით, აქტიურად ჩაერთონ რაიონულ კონფერენციებში. სკოლა პედაგოგების გარდა ზრუნავს სხვა პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის მხრიდან ხელისშეწყობით სკოლის ბუღალტერმა, სკოლის ექიმმა და ბიბლიოთეკარმა გაიარეს ტრენინგები პროფესიული განვითარების მიზნით. სკოლის დაფინანსებით ბუღალტერს გავლილი აქვს ტრენინგები:,, ფინანსური ანგარიშგების ფორმები-მათი შევსების წესი“ და ,,ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები საჯარო სკოლაში“ ასევე, სკოლის დირექტორს გავლილი აქვს ტრენინგი: ,,საჯარო სკოლის მართვის აქტუალური საკითხები“, რომლებიც ჩატარდა ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ. სკოლის ექიმმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს სკოლის ექიმთა კონფერენციაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლაში მისვლისას სკოლის ახალ თანამშრომელს ხვდება კეთილგანწყობილი, ტოლერანტული და მხარდამჭერი გარემო.** ახალი თანამშრომლის ჯანსაღი ინტეგრაციისთვის სკოლაში შემუშავებულია დოკუმენტები: „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ და ,,ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი“ , რომლებშიც გაწერილია ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის პროცედურები. სკოლის ადმინისტრაცია კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს

ახალი თანამშრომლისათვის სკოლის შინაგანაწესის, შიდა მოქმედი რეგულაციების, თვალსაჩინო ადგილას გამოკრული სკოლის მისიის, ხედვასა და ღირებულებებისა და სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობას. ასევე, ათვალიერებინებს სკოლის შენობას, წარადგენს კოლექტივის წინაშე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **პერსონალის განვითარებისა და მოტივაციის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია მათი ინიციატივები იყოს წახალისებული.** სკოლაში შემუშავებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში", დეტალურად არის განხილული თანამშრომელთა წახალისების ფორმები, ასევე დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესები აღწერილია სკოლის შინაგანაწესშიც. მიმდინარე წლის 14 მაისს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ინიციატივით სკოლაში გაიმართა შეხვედრა უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლებთან, მათ სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს წიგნები საკუთარი ავტორობით. უმეტესწილად, თანამშრომელთა პოზიტიური წახალისება ხდება სიტყვიერად და სოციალურ ქსელში (facebook) - https://www.facebook.com/ მადლობის გამოცხადებით. 2025-2026 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს წახალისების ფორმების დახვეწას და გაუმჯობესებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-42, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება N1/კ-28, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ
- გაკვეთილზე დასწრების ფორმა და უკუკავშირი
- ურთიერთდასწრების ფორმა
- შიდა ტრენინგების გეგმა, დასწრების ფურცელი
- ტრენინგის საფასურის გადახდის ქვითრები
- ბრძანება N1/კ-63, ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის სხდომის ოქმი N1 თანდართული კითხვარებით
- ექიმის სერტიფიკატი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს** სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფა მიმართულია წარმატებული სასწავლო გარემოს და ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად. პროცესის განხორციელება ხდება თანმიმდევრულად-დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება. დასახული ამოცანების შესასრულებლად სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ერთწლიან სამოქმედო გეგმას, სადაც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები და პროცედურები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;** სკოლაში საგანმანათლებლო პროცესების მმართველობაში ჩართულია დირექცია, ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით საშუალო საფეხურზე შეტანილია არჩევითი საგნები. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იკვეთება სკოლაში არსებულ დოკუმენტებში, როგორიცაა: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, ადამიანური რესურსების

მართვის პოლიტიკა, საქმისწარმოების წესი, თანამდებობრივი ინსტრუქციები. გარდა ამ დოკუმენტებისა, სკოლა საქმიანობას წარმართავს სასკოლო სასწავლო გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელშიც ნათლად არის გაწერილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და ვადები, ჩანს სასკოლო საზოგადოების გუნდური მუშაობა და პასუხისმგებლობის გაზიარება.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა** სკოლას შემუშავებული აქვს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. დოკუმენტში გაწერილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი განცხადების მიღებისა და გასაჩივრების პროცედურები. დისციპლინარული გადაცდომების განხილვის მიზნით შექმნილია დისციპლინური კომიტეტი. გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემა მიუკერძოებელია და ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.** სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საჯარო სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. უფლებების დაცვის მექანიზმების სისტემა მიუკერძოებელია და ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს. უფლება-მოვალეობები გაწერილია, ასევე თანამშრომლებთან, სკოლასა და მშობელს/კანონიერი წარმომადგენლს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სასკოლო საზოგადოების წევრები ინფორმირებულნი არიან მათ უფლებებზე და ვალდებულებებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025წწ.
- ბრძანება N2-27, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- შეხვედრის ოქმი არჩევით საგანზე;
- ბრძანება N2-76, საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N2-25, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესის დამტკიცების შესახებ;
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი;

- ბრძანება N2-108, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების დამტკიცების შესახებ.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები** სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ინფორმირების წესი გამჭირვალეა. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი. სკოლა ქმნის ყველანაირ პირობას იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლასის დამრიგებლები ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იწვევენ მშობელთა კრებებს და აცნობენ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო-სასწავლო გეგმას , ასევე ახალი სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებებს. გარდა ამისა, იმართება უშუალოდ საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხის გაცნობის მიზნით. მასწავლებლების ინფორმირება ხდება პირისპირ შეხვედრებით, სოციალური ქსელებით, საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციებით. ჩატარებული ღონისძიებების შესახებ სკოლის ფეისბუკ გვერდზე (https://www.facebook.com/) გამოქვეყნებული ინფორმაციებით სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალებით ხდება საჯაროობის პრინციპის უზრუნველყოფა და შესაბამისი უკუკავშირის მიღება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.** სასკოლო ცხოვრებისა და მართვის პროცესებში ჩართულია სასკოლო საზოგადოებისა და თემის წარმომადგენლები, სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში შესული არიან თემის წარმომადგენელი, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. სამეურვეო საბჭოში საფეხურების მიხედვით წარმოდგენილი მშობლები უშუალოდ მონაწილეობენ სკოლის მართვის პროცესებში. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში მრავალი ღონისძიება ტარდება, მათ შორის ჩატარდა ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?“.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება **(მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N 2-26, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ
- მშობელთა კრების ოქმი შინაგანაწესის გაცნობაზე
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)** სკოლა ახლად რეაბილიტირებულია. არის მოწესრიგებული და სასკოლო საზოგადოების წევრებზე მორგებული ინფრასტრუქტურა, მათი ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ფიზიკური გარემო. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება. სკოლას ჰყავს მანდატურები. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით ასევე განთავსებულია 50

სათვალთვალო კამერა, რომელიც აკონტროლებს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრს. სკოლის ორივე სართულზე და ეზოში მორიგე მასწავლებლები უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვას მანდატურებთან ერთად. სკოლის პირველ სართულზე სასწავლო პროცესის პერიოდში შენობაში შემომსვლელ პირებს აკონტროლებს და აღრიცხავს სარეგისტრაციო ჟურნალში მორიგე მასწავლებელი. მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან დარღვევის დროს, სკოლა ახდენს რეაგირებას კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ. მოცემული ეტაპისათვის ისევ მიმდინარეობს გარე სამუშაოები (ეზოს შემოღობვა მავთულის ღობით და ბუნებრივი საფარის დაგება)

სკოლამ შესაბამის ორგანოებთან კომუნიკაციის შედეგად, დააზუსტა დოკუმენტების წარმოდგენის ვადები, რომელიც გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში. აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენას სკოლა შეძლებს 01.05.2025 დან -01.05.2026 წლამდე, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას უკვე ჰქონდა მიღებული სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა N004744825, სადაც მკაფიოდაა აღწერილი, რომ სსიპ გურჯაანიის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. არსებითი მდგომარეობით შენობის ექსპლუატაცია არ არის საფრთხის შემცველი. თუმცა სოფელ დარჩეთის სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. შენობის რეაბილიტაცია არარელევანტურია და ექვემდებარება დემონტაჟს. ხოლო სკოლის ტერირორიაზე განთავსებული საქვაბის საპირფარეშოს შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს რესურსი, რომ დარჩეთის სკოლის მოსწავლეები(რეაბილიტაციამდე პერიოდში) გადაიყვანოს არაშენდის სკოლის შენობაში, ამისთვის არსებობს საკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსი . სკოლას ემსახურება ტრანსპორტი და მანძილი არაშენდის სკოლის შენობიდან დარჩეთის სკოლის შენობამდე 1,8 კმ-ია;, რაც დასტურდება ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებით და პედაგოგებთან გასაუბრებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ დაწესებულებამ გადმოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აცხადება მზაობას 2025/26 სასწავლო წლიდან ვიდრე დარჩეთის სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არ იქნება დამაკმაყოფილებელი, დარჩეთის დაწყებითი სკოლის სასწავლო პროცესი განხორციელდება არაშენდის საჯარო სკოლის ძირითად შენობაში პირველ ცვლაში. ასევე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა შეუფერხებელი ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. მშობლების თანხმობის, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობის საფუძველზე,

არაშენდის სკოლის შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, წყლის ჭავლის სისტემით, სახურაავის ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით დამუშავებით, ცეცხლმაქრებით, ასევე დარჩეთის სკოლის შენობაც აღჭურვილია

ხანძარსაწინააღმდეგო სადემონსტაციო დაფით, ცეცხლმაქრებით. სკოლას შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქვს 01.05.2025 დან -01.05.2026 წლამდე ვადაში უფლებამოსილ უწყებისგან დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. ასევე, სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **სკოლას მიეცა რჩევა,**

- შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის აყვანის თაობაზე.

რეკომენდაცია

- **სკოლამ განსაზღვრულ ვადაში შეათანხმოს უფლებამოსილ უწყებასთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**
- **სკოლამ განსაზღვრულ ვადაში უფლებამოსილ უწყებისგან მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.**

ინდიკატორი მეტწილ შესაბამისობაშია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას** სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას, აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო კაბინეტი, შესაბამისი აღჭურვილობით, სადაც ხორციელდება სამედიცინო მომსახურების გაწევა. სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია არაშენდის სკოლის შენობის პირველ სართულზე, ფიზიკურად მარტივად მისადგომ ტერიტორიაზე, აქვს როგორც ხელოვნური ისე ბუნებრივი განათების წყარო, გამართულად ფუნქციონირებადი ხელსაბანი თავისი აღჭურვილობით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი რომელიც ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად დაკისრებულ ფუნქცია მოვალეობებს ორივე სკოლის შენობაში განთავსებული მოსწავლეებისთვის, აუცილებლობის შემთხვევაში კი, იძახებს სასწრაფო დახმარების ბრიგადას. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ის ტელეფონის ნომრები, რომლებზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. დარჩეთის სკოლის მოსწავლეებსაც ემსახურებათ სკოლის ექიმი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;** სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი. სკოლის მანდატურები და თანამშრომლები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლის მასწავლებლები ასრულებენ მათზე დაკისრებულ მორიგეობის ფუნქციას, ისინი აკონტროლებენ სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლაში შემოსულ ყველა სუბიექტს, იკვლევენ მათი მოსვლის მიზეზს და არეგისტრირებენ სპეციალურ ჟურნალში. თვალსაჩინო ადგილას

გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ,,112“ ცხელი ხაზის ნომერი, მანდატურების მობილური სამსახურებრივი ნომრები, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის ნომერი, სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. აღნიშნული ინფორმაცია ეცნობა ასევე მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, სკოლის მანდატურის მიერ ივსება დარღვევის ოქმი და ეგზავნება დირექტორს. სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.** სკოლაში შექმნილია ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო, რაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით. სასკოლო საზოგადოების წევრები თავს გრძნობენ დაცულად, უსაფრთხოდ და ემოციურად გაწონასწორებულები არიან. სასწავლო წლის დასაწყისში ეწყობა მშობელთა კრებები და კლასის დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას ფსიქო-სოციალური სამსახურის არსებობის შესახებ და აძლევენ მშობლებს საკონტაქტო ნომრებს (ყველა საჭირო ცხელი ხაზის ნომრები სკოლის შენობაშიც არის გამოკრული ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე). სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, მანდატურებთან ერთად ზრუნავენ კლასის დამრიგებლები და მასწავლებლები. მანდატურები ხშირად ატარებენ აღნიშნული მიმართულებით საინფორმაციო შეხვედრებს, ასევე სადამრიგებლო საათები ეთმობა აღნიშნულ თემებს, შესაბამისად უსაფრთხოების კონტროლი სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;** სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობისთვის ეფექტური გარემო, დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები. სკოლის გარემო უსაფრთხოა და მორგებულია სასწავლო პროცესს. სკოლაში არის უწყვეტი ელექტროენერგია, შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილი, როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის, რომლებიც ყოველდღიურად მარაგდება თხევადი საპნით და მშრალი ხელსახოცით და თითოეული მათგანი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. სკოლაში არის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელი წყალი, რომლის სინჯიც კეთდება ექვსი თვის ინტერვალით. ყველა სართულზე განთავსებულია დისპენსერები, რომლებშიც ყოველდღიურად ისხმება სასმელი წყალი. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული საჯარო სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის შესაბამისად. წინამდებარე წესში გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები და განსაზღვრულია

ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმათა დაცვის კონტროლს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;** სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის ეფექტიანი სისტემა. სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (რესურსცენტრის თანამშრომელი ითავსებს ფუნქციას). სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემებზე და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად დოკუმენტ ბრუნვის სისტემის (e-flow)-ს საშუალებით. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით ინახება მოსწავლეთა და სკოლაში დასაქმებულთა პირადი საქმეები, ბუღალტრული დოკუმენტაცია. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;** სკოლა იცავს მის ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემებს. არ ხდება პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება, სკოლას მოწესრიგებული აქვს Eschool– ის ბაზა. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას, დამრიგებლები მშობელთა კრებებზე განიხილავენ მხოლოდ ზოგად საკითხებს და საჯაროდ არ ხდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და ყოფა-ქცევის განხილვა. ელექტრონული ჟურნალი განაპირობებს მოსწავლის პირადი მონაცემების და აკადემიური მოსწრების კონფიდენციალურობას. სკოლა მშობლების თანხმობით ახდენს მოსწავლეთა ფოტოების და სხვა პირადი ინფორმაციის გასაჯაროებას სოციალურ ქსელში (სხვადასხვა ღონისძიების ამსახველი მასალა). **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**
   მიმდინარე წარმოების ფარგლებში ინდიკატორი არ არის შეფასებადი

დასტურდება :

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N1/კ-72, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შესახებ
- წერილი ინფრასტრუქტურას, პასუხი შენობის მდგრადობაზე
- ბრძანება N2-34, პირველადი სამედიცინო დახმარების წესის დამტკიცების შესახებ
- უსაფრთხოების ტელეფონის ნომრები(ფოტო მასალა)
- წყლის სინჯის დასკვნა
- ბრძანება N2-20, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება N2-12, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ
- ბრძანება N8 კ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ
- მშობლის თანხმობა მოსწავლეთა ფოტოების გამოქვეყენებაზე;
- სკოლის დირექტორის ანგარიში მრჩეველთა საბჭოსთვის;
- კითხვარების ლინკი

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. სკოლას აქვს საკუთარი ტერიტორია, ძირითადი ორსართულიანი სკოლის შენობა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდაში და მასთან ინტეგრირებული სოფელ დარჩეთის დაწყებითი სკოლის შენობა. სკოლის ორივე შენობას აქვს კეთილმოწყობილი ეზო. ძირითადი შენობის (სოფელ არაშენდაში) სრული რეაბილიტაცია განხორციელდა 2024/25სასწავლო წელს, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ. დარჩეთის დაწყებით სკოლის შენობას 2014 წელს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ შეეცვალა ჭერი და კარ-ფანჯარა. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლას ჰყავს 232 მოსწავლე; მათგან 17 მოსწავლე სწავლობს დარჩეთის სკოლაში დაწყებით საფეხურზე; 28 მასწავლებელი; 8 დანარჩენი პერსონალი. სკოლაში არის სამსაფეხურიანი სწავლება. სკოლას აქვს შესაბამისი ინვენტარით მოწყობილი ექიმის კაბინეტი და ჰყავს ექიმი, აქვს კომპიუტერული ლაბორატორია და ოთახი დამხმარე სათავსოთი, რესუსრს ოთახი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, შიდა სპორტდარბაზი და გარე მინი სტადიონი, გარე და შიდა ლიფტი შშმ პირთათვის, კომპიუტერებითა და სველი წერტილებით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ოთახები, რომლებიც უზრუნველყოფილი საჭირო სასწავლო რესურსით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სკოლის ინფრასტრუქტურით, საერთო სივრცეებით და მატერიალური რესურსებით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის . მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლის ბიბლიოთეკაში იმართება ღონისძიებები, საკლუბო მუშაობა და სხვადასხვა სახის შეხვედრები. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია კომპიუტერები, ტარდება ისტ-ის გაკვეთილები. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტდარბაზი და სპორტული მოედანი. სკოლას აქვს რეკრეაციული სივრცეები. ყველა მოსწავლეს აქვს ასაკის შესაფერისი ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ეზო, რომელიც ხელსაყრელია არაფორმალური განათლებისათვის საჭირო აქტივობების განსახორციელებლად. რესურს ოთახი მუშაობს წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით სსსმ მოსწავლეებთან. ექიმის კაბინეტი ემსახურება მოსწავლეებს პირველადი დახმარების აღმოჩენისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით სკოლის ორივე შენობას, როგორც არაშენდის ასევე დარჩეთს აქვს ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. სასკოლო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ასევე დამხმარე რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია დირექტორის ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. საბიბლიოთეკო სივრცე ხელმისაწვდომია როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობისთვის. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ციფრული ტექნიკითა და ინტერნეტით. ბიბლიოთეკა ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-შემეცნებით აქტივობებს სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის თანაბარ ხელმისაწვდომ პირობებს ყველა მოსწავლისა და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლის შენობას აქვს გარე და შიდა ლიფტი, არასენდის სკოლის შენობის ორივე სართულზე განთავსებულია კეთილმოწყობილი სველი წერტილები გენდერის მიხედვით და ადაპტირებული საპირფარეშოები. რესურს ოთახი აღჭურვილია ყველა სათანადო ინვენტარით და შესაბამისი რესურსით.დარჩეთის სკოლის შენობა ერთსართულიანია, ამდენად ადაპტირებულია და ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სველი წერტილი ეზოშია, თუმცა ინკლუზიური გარემოსთვის შესაბამისის საკმარისი სივრცეა. სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული ინკლუზიური მიდგომები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში შექმნილი ჯანსაღი, მდგრადი და მიმზიდველი სოციო-კულტურული გარემო ქმნის სასკოლო საზოგადოების წევრთა დადებით ფსიქოლოგიურ და ემოციურ განწყობას. ამას ხელს უწყობს სკოლის ინფრასტრუქტურაც, რომელიც საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. სკოლას გააჩნია ბიბლიოთეკა , საერთო სარგებლობის გამწვანებული სივრცე ეზოში. ეზოში განთავსებულ კეთილმოწყობილ სპორტულ მოედანზე იმართება სპორტული აქტივობები. სკოლა აქტიურადაა ჩართული სასკოლო ღონისძიებებსა და ტურნირებში რაიონულ დონეზე. სკოლას სპორტულ და ინტელექტუალურ საგანმანათლებლო შეჯიბრებებში გამარჯვებებისათვის აქვს არაერთი ჯილდო მიღებული. სკოლის მიერ მიღებული ჯილდოების, თასები თვალსაჩინოდ გამოფენილია სკოლის ფოიეში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან -არაშენდის სკოლა, დარჩეთის სკოლა
- ბრძანება N2-22, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება N2-16, ბიბლიოთეკის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ;
- სველი წერტილების ფოტომასალა;

- რესურსოთახის, ექიმის კაბინეტისა და ბიბლიოთეკის ფოტომასლა;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას სკოლის **ინფორმაციული ტექნოლოგიების** ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილ წარმართვას. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში. ლაბორატორიაში განთავსებულია 13 პერსონალური კომპიუტერი. სკოლაში არის ასევე 11 პერსონალური კომპიუტერი, 2 ლეპტოპი, 3 პროექტორი, 2 პროექტორის ეკრანი, 5 პრინტერი. ლაბორატორიის გარდა სკოლაში განთავსებულია 8 კომპიუტერი. სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია და გამოიყენება გაკვეთილების ჩატარებისას, სხვადასხვა ღონისძიებების მომზადებისა და განხორციელებისთვის, ელექტრონული რესურსების შესაქმნელად, დოკუმენტაციის შექმნასა და წარმოებისთვის. სკოლას ორივე შენობაში აქვს სრული ინტერნეტიზაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო

ტექნოლოგიების ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და გამიზნულია სასწავლო პროცესში მოსწავლეების თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. აგრეთვე, სკოლის თანამშრომელთა მიერ მათი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტარდება საგნობრივი ოლიმპიადები და სხვა აქტივობები, რომელსაც სჭირდება კომპიუტერული ტექნიკა. გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ ტექნიკის გამოყენება სასკოლო აქტივობებისთვის. სამასწავლებლოში განთავსებული კომპიუტერი ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისათვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიაში გამოკრულია კომპიუტერებით სარგებლობის განრიგი, რათა პედაგოგებსა და მოსწავლეებს, ადმინისტრაციულ თუ ტექნიკურ პერსონალს გააჩნდეს რესურსებზე თანაბარი წვდომა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება :
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-22, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტები;
- კომპიუტერული ლაბორატორიის ფოტომასალა;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია - საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიზანია დოკუმენტ ბრუნვის მოწესრიგება, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხის ამაღლება, ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა და დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა. აღნიშნული წესი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლაში არსებობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow); საქმისწარმოებას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად. სკოლაში იწარმოება შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი, შემოსული და გასული დოკუმენტაციის ჟურნალი, ინახება მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირადი საქმეები, გამოიყენება საკადრო და საერთო რეგისტრაციის ჟურნალები, იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც ინახება კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, სკოლა შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ახდენს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow -ს საშუალებით, ხოლო სასკოლო საზოგადოების მონაცემები ასახულია მართვის საინფორმაციო სისტემის eschool -ის ბაზაში. სხვადასხვა სახის კომუნიკაციისთვის გამოიყენება ელექტრონული ფოსტები, teams-ის პორტალი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ჟურნალი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ამ სისტემაში მუშაობაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯერი. პროფილის ყველა გვერდი შევსებულია სრულყოფილად. ბაზაში შეტანილია ინფორმაცია მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების შესახებ, ასევე, მონაცემები კლასების, მასწავლებელთა სტატუსების, მოსწავლეთა სოციალური სტატუსების და სსსმ მოსწავლეების შესახებ. ელექტრონულ ჟურნალში აღირიცხება მოსწავლეთა შეფასებები და გაცდენები.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესით განსაზღვრული აქვს ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა, რომელთა დაცვითაც უზრუნველყოფს შესაბამის პროცედურებს. სკოლა ყოველწლიურად უგზავნის 10 დეკემბრის ანგარიშებს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და საკანონმდებლო მაცნეს. ასევე სკოლის დირექტორი ყოველწლიურ შინაარსობრივ და ფინანსურ ანგარშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება რესურსცენტრის წარმომადგენლის, დირექტორის, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლის, პედსაბჭოს თავმჯდომარის, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარის, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისაგან. მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იხილავს ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, მართავს შეხვედრებს, ამზადებს ანგარიშებს და შემდეგ წარუდგენს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს კახეთის ცენტრს. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად შეისწავლის ინკლუზიური განათლების

განხორციელების პროცესს სკოლაში, წერს შესაბამის დასკვნას და აგზავნის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში
- მრჩეველთა საბჭოს წერილი მანდატურის სამსახურს
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონტორინგის ჯგუფის დასკვნა.
- ბრძანება N2-76, საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით** სკოლა რეგულარულად უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას. სოციალურ ქსელში თავსდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ, სკოლის ყველა კლასს, მასწავლებლებს ელექტრონულ სივრცეში (მესენჯერში) შექმნილი აქვთ ჯგუფები, სადაც სისტემატიურად ისახება მნიშვნელოვანი სიახლეები, ცვლილებები. მშობლებს შეუძლიათ ელექტრონულ ჟურნალებში იხილონ შვილის მიღწევების შესახებ კომენტარები და შეფასებები, (განმავითარებელი კომენტარების) ასევე იყენებენ ელ-ფოსტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას** სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. მშობლებთან ტარდება საინფორმაციო თუ ინდივიდუალური შეხვედრები სკოლაში მიმდინარე საქმიანობის, ღონისძიებების, სიახლეების გაცნობის მიზნით. შეხვედრებზე მშობლები ეცნობიან სკოლის მიზნებს, ერთვებიან გადაწყვეტილებების მიღების პროცესში(მაგ. მშობელთა მონაწილეობა სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ

კომიტეტში) მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა აწვდის ინფორმაციას მშობლებს დაგვიანებების, გაცდენების და აკადემიური მოსწრების შესახებ. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციების და სხვა აქტივობების შესახებ. სკოლაში მოქმედებს სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი". **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად** სკოლა ამყარებს შიდა და გარე კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან სხვდასხვა საშუალებებით. გამოიყენება სატელეფონო კავშირი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და სკოლის ღია სივრცეში საჯარო ინფორმაციის კუთხე, სადაც განთავსებულია საჯარო ინფორმაცია. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების საშუალებით მიღებული უკუკავშირები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლაში ხორციელდება შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი რომელიც გამოიყენება შემდგომი განვითარებისათვის. ანალიზს წარმართავს სკოლის დირექცია, საკითხთან დაკავშირებულ თანამშრომლების ჩართულობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;**
ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას აქვს განათლების ერთიანი მართვის სისტემის მიერ შექმნილი ელ. სივრცე - ვებგვერდი ქართულ ენაზე. ინფორმაცია სახელმწიფო ენაზეა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია** სკოლის ვებ გვერდზე ასახულია შემდეგი ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული

აუცილებელი მოთხოვნები, სასკოლო სასწავლო გეგმა; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. ფოტომასალა **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობლის შეტყობინების ფორმა
- ბრძანება N2-26, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი
- მშობელთა კრების ოქმი
- საჯარო ინფორმაციის კუთხე (ფოტო მასალა)
- სკოლის ვებ-გვერდი (https://skolebi.emis.ge)
- მშობლის უკუკავშირი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება** სკოლის ფინანსურ რესურსს ძირითადად მოსწავლეთა ვაუჩერული დაფინანსება წარმოადგენს. აღნიშნული რესურსი მიმართულია სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად, რომელიც წინასწარ დაგეგმილია წლიური ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმის სახით. შესყიდვების განკარგვა ხდება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, რომელიც აისახება სახელმწიფო შესყიდვების გვერდზე , მიმდინარე წლის

არაუგვიანეს 20 ნოემბრისა. კერძოდ, სკოლის ბიუჯეტი უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სხვადასხვა სასწავლო რესურსის, საკანცელარიო ნივთებისა და სპორტული ინვენტარის შეძენას. ასევე სხვადასხვა მომსახურების ანაზღაურებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა** საჯარო სკოლას აქვს ფინანსური მართვის სისტემა. ყოველი წლის ნოემბრის თვეში დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი და გეგმის ფორმა, შესყიდვების გეგმა, რომელშიც გაწერილია სკოლის საჭიროებები და გეგმის სისტემაში რეგისტრაციაზე და შემდგომ მის კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექცია ფინანსური რესურსების დაგეგმვასა და მართვას უზრუნველყოფს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ყოველი წლის 31 დეკემბრამდე დირექცია ბიუჯეტის პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და მასთან ერთად განიხილავს პრიორიტეტულ საკითხებს, საჭიროების შემთხვევაში ხდება შესყიდვების გეგმის კორექტირება. სკოლის დირექტორი პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის, საგნობრივი კათედრების, ბუღალტრის, დირექტორის მოადგილის ჩართულობით შეიმუშავებს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს, რომელსაც ყოველი წლის 10 დეკემბრამდე წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (დირექტორის ანგარიში)
- სამურვეო საბჭოს სხდომის ოქმი (ბიუჯეტის დამტკიცება)
- ბრძანება 2-106, სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორად, შესყიდვების გეგმის რეგისტაციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
- შესყიდვების გეგმის დამტკიცების ბრძანება;
- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლაში მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი და დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც განთავსებულია სკოლის ვებ. გვერდზე. ორივე დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეთა უფლებები, რომელთა დაცვას უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოება. სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას სკოლის ფოიეში. პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აცნობენ შინაგანაწესს, ქცევის კოდექსს და მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ კლასში ქცევის წესებს. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომლის ერთერთი წევრია მოსწავლეთა თვითმართველობის წარმომადგენელი საშუალო საფეხურის მოსწავლე, რომელიც მონაწილეობას იღებს გადაწყვეტილებების მიღების კენჭისყრის პროცესში. სკოლაში ასევე შექმნილია დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი. სასწავლო წლის განმავლობაში მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები და საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიები ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ და სხვა. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები არეგულირებს სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის ურთიერთობას მოსწავლის ინტერესების დაცვის მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები არის გამჭვირვალე: სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია შინაგანაწესი და ,,მოსწავლის ქცევის კოდექსი.“ კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს აცნობენ მოსწავლის უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციებს, მოსწავლეებთან ერთად ადგენენ საკლასო ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახში და მოსწავლეები ვალდებულნი არიან დაიცვან ეს წესები. მშობელთა ინფორმირება ამ საკითხებთან დაკავშირებით ხდება მშობელთა კრებებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლაში მოსწავლის მშობელთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან ორ ეგზემპლიარად ფორმდება კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, გაფორმებამდე მშობელი ეცნობა ხელშეკრულების პირობებს. გაფორმებული ხელშეკრულების ორივე მხრიდან ხელმოწერილი ერთი პირი გადაეცემა მშობელს, მეორე რჩება სკოლაში. ფოტოებისა და ვიდეო მასალების გამოქვეყნების დროს მშობლებთან ივსება თანხმობის ფორმები. ექსკურსიებისა და ლაშქრობების დაგეგმვის დროს ივსება მშობლის თანხმობის ფორმა.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთა კრების ოქმი შინაგანაწესის გაცნობაზე;
- ბრძანება N2-108, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- მშობლის თანხმობა შვილის ფოტო-ვიდეო მასალის სასწავლო მიზნით გამოყენებაზე;
- მშობლის თანხმობის ფორმა ექსკურსიაზე წასასვლელად.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის ბრძანება №04/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის წესსა და პირობებს. ეროვნული სასწავლო გეგმა კი განსაზღვრავს საფეხურის დაძლევისა და მობილობის წესს; რომლის საფუძველზეც სკოლას,

დირექტორის ბრძანებით, შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

ყოველწლიურად, საჯარო სკოლის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობა სექტორების მიხედვით განისაზღვრება დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით. ჩარიცხვის ვადები დგინდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ--სამართლებრივი აქტით. სკოლა, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ--სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვადების შესაბამისად პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეების რიცხოვნობის შესახებ ინფორმაციას ასახავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში eschool, პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონულად, ელექტრონული რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით. რეგისტრაცია კანონმდებლობის დაცვით ხორციელდება სამ ეტაპად. საჯარო სკოლა განსაზღვრულ ვადებში/ ორ სამუშაო დღეში განიხილავს პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით ადასტურებს. მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელ დოკუმენტაციაში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, 5 დღის ვადაში მშობელი ასწორებს დახარვეზებულ დოკუმენტაციას. სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად ხორციელდება მობილობა, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის კლასში ჩარიცხვის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივ აქტს გამოსცემს სკოლის დირექტორი. სკოლის მოსწავლეს სტატუსი უჩერდება, თუ: 45 სასწავლო დღის განმავლობაში ზედიზედ არ ცხადდება სკოლაში, მიემგზავრება საზღვარგარეთ და არასრულწლოვანი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სრულწლოვანი მოსწავლე სკოლას მიმართავს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით. სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ--სამართლებრივ აქტს მოსწავლის სტატუსის შეჩერების თაობაზე, ინფორმაციას აწვდის მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და ინფორმაციას ასახავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის მიერ ასევე ხორციელდება მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენაც, მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა, რომელსაც სურს მოსწავლის სტატუსის აღდგენა, მიმართავს სკოლას, სადაც სურს სწავლის გაგრძელება. მოსწავლეს სტატუსი აღუდგება იმავე კლასში, სადაც შეუჩერდა. თუ დადასტურდება მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მომდევნო კლასის/კლასების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ფაქტი, მას სტატუსი აღუდგება შესაბამის კლასში. სტატუსის აღდგენა ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე , რომლის გამოცემიდან ორი დღის

ვადაში საჯარო სკოლა მოსწავლის სტატუსის აღდგენის შესახებ ინფორმაციას ასახავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში. მოსწავლეთა აკადემიური შედეგების საფუძველზე ხდება მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა და საფეხურიდან საფეხურზე გადაყვანა, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აწყობს მშობელთა კრებებს, რომელზეც აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას. ასევე, სასწავლო წლის ბოლოს მასპინძლობს თემში შემავალი საბავშვო ბაღების გამოსაშვები ჯგუფების აღსაზრდელებს და აცნობს მათ სასკოლო გარემოს. მომავალში იგეგმება ღია კარის დღეების მოწყობა და სკოლის ფეისბუქ გვერდზე სკოლაში დაგეგმილი სიახლეების შესახებ ინფორმაციის განთავსება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი და მშობელთან ურთიერთობის დებულება. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის კუთხეზე განთავსებას. სკოლას აქვს ვებ გვერდი, სადაც ხდება ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 2-112 მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება N2-37 პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ,
- ბრძანება N2-104, სტატუსის შეჩერების შესახებ;
- ბრძანება N2-46, საფეხურის დაძლევის შესახებ;
- ბრძანება N2-18, მოსწავლის მობილობის შესახებ,
- მშობელთა კრება სასკოლო სასწავლო გეგმისა და შინაგანაწესის გაცნობაზე
- საბავშვო ბაღების ვიზიტი სკოლაში

- ბრძანება N2-26, ,, საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი'' დამტკიცების შესახებ
- ბრძანება N2-35, მშობელთან ურთიერთობის დებულების დამტკიცების შესახებ

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია მოსწავლის ადაპტაციის წესი. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია პირველკლასელთა ადაპტაციის მიზნით სასწავლო წლის დაწყებამდე განხორციელებული აქტივობები ,როგორიცაა საბავშვო ბაღის წარმომადგენლებთან, მომავალ პირველკლასელ ბავშვებთან და სურვილის შემთხვევაში მშობლებთან ერთად ვიზიტის განხორციელება სკოლაში და გარემოს მონახულება, კომუნიკაციის დამყარება დამრიგებელთან და სხვა მასწავლებლებთან. აღნიშნული ვიზიტი წინასწარ არის დაგეგმილი და სკოლა პატარებს ხვდება მომზადებული. მომავალი პირველკლასელებისათვის სკოლა მოსწავლეთა ჩართულობით ამზადებს სპექტაკლებს და სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რაც მათ პირველ ვიზიტს სკოლაში განსაკუთრებით სახალისოს ხდის. სკოლაში პირველ ეტაპზე რეგისტრირდება სსსმ მოსწავლე, ასეთ შემთხვევაში სკოლა წარმატებული ადაპტაციის მიზნით, ბავშვის ოჯახთან თანმიმდევრული კომუნიკაციით იძიებს ინფორმაციას სსსმ ბავშვის ფუნქციური, სოციალურ-ემოციური, წინა აკადემიური, უნარების ,ბავშვის ინტერესების, ქცევის თავისებურებების და პიროვნული მახასიათებლების შესახებ. ობიექტურ წყაროს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ბავშვის საჭიროებები და მოცემულია სასწავლო პროცესისა და გარემოს მორგების რეკომენდაციები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეგისტაციის შემთხვევაში, სკოლა გაითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, რათა მომავალმა მოსწავლემ შეძლოს გარემოში თავისუფლად გადაადგილება. დაწყებითი კლასის დამრიგებლები სწავლის დაწყებისას აწყობენ ექსკურსიას

სკოლის შენობაში, ასევე ასეთი აქტივობა ხორციელდება სხვა კლასებში ახალი მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.** სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; სკოლას გააჩნია მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის კლასებში მერხები განლაგებულია ასაკის შესაბამისად. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხდება საჭიროების შესაბამისად ავეჯის გადაადგილება. სკოლას ყავს 5 სსსმ მოსწავლე, ერთი სპეც.მასწავლებელი, რომელიც საჭირო მომსახურებას უწევეს სსსმ მოსწავლეებს. სკოლის შენობაში განთავსებულია მოწესრიგებული სველი წერტილები სართულების მიხედვით. პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპით, არის ადაპტირებული ავეჯი, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლას გააჩნია ექიმის კაბინეტი საჭირო აღჭურვილობით, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა უსაფრთხოებას და კეთილდღეობას. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი სკოლის სხვადასხვა ღონისძიებებისა და შეხვედრებისათვის და ისტ-ისა და საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი. მოსწავლეთა გადაადგილება არის თავისუფალი, საკლასო ფიზიკური გარემო მორგებულია ასაკობრივად, დაწყებითი კლასები პირველ სართულზეა. სკოლა ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო გარემოთი. სკოლას აქვს შიდა და გარე ლიფტი. პირველკლასელებს დამრიგებელი აცნობს სასკოლო გარემოს: საკლასო ოთახს, სველ წერტილებს, ეზოს, სპორტულ მოედანს და სხვა. ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს, ტრადიციულად, სკოლას აქვს გახსნის ღონისძიება, რაც მოსწავლეებსა და მათ მშობლებს უქმნის შესაბამის სადღესასწაულო განწყობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლე სკოლისგან იღებს კანონმდებლობის გათვალისწინებით სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მოსწავლეები და მათი მშობლები ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით იგებენ შეფასებას. დაინტერესებული მშობლები აქტიურად თანამშრომლობენ სკოლასთან, ინდივიდუალურად ხვდებიან საგნის მასწავლებლებს და მათგან იღებენ საჭირო ინფორმაციასა და კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის მხრიდან არის მხარდაჭერის მზაობა მოსწავლეების აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, მასწავლებლების მხრიდან, საჭიროების შემთხვევაში ხდება მოსწავლეების კონსულტირება, განმავითარებელი შეფასების მიცემა და უკუკავშირი. თუ მოსწავლეს აქვს არადამაკმაყოფილებელი მიღწევები საგნობრივ კომპეტენციებსა და ფუნქციურ გლობალურ უნარებში, მასწავლებელი ხელმძღვანელობს სკოლის მიერ დამტკიცებული რემედიაციის პროგრამის დებულებით და გაწერილი გეგმის შესაბამისად ეხმარება მოსწავლეს. მოსწავლეს აქვს სემესტრული ქულის ამაღლების შესაძლებლობა, რის შესახებაც დროულად ხდება მშობლის ინფორმირება და მისი განცხადების საფუძველზე , კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს, ინიშნება გამოცდა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

თითოეულ მოსწავლეს სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლაში მობილობა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად, მოსწავლის მშობელი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ ნებისმიერი კლასის მოსწავლის მობილობა შეწყვეტილია 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე, ასევე XII კლასის პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ეზღუდება მობილობის უფლება. სკოლა საქმისწარმოებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისი ვადებისა და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. სკოლა საკუთარი სერვისების მიწოდებით ხელს უწყობს მოსწავლის მიერ განათლების შეუზღუდავად მიღების უფლებას, პატივს სცემს მის არჩევანს და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპების გამოყენებას. სკოლის მიერ სერვისების გაწევა ხდება რეალისტურ ვადებში, რათა შეგნებულად და წინასწარი განზრახვით ხელი არ შეეშალოს უფლებების გამოყენებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის დირექცია ხელს უწყობს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში, დროულად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროექტებისა და პროგრამების შესახებ. სკოლაში შექმნილია დებატების, მედიაწიგნიერების, მკითხველთა და სამოქალაქო განათლების კლუბები, თითოეულს გაწერილი აქვს წესდება და სამოქმედო გეგმები შესაბამისი აქტივობებით. მათ მიერ განხორციელებული პროექტები და აქტივობებია: ,,ვებრძოლოთ ადიქციას!", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სკოლის მხარდაჭერით თბილისში სტუმრობდნენ სპორტულ დარბაზს -,,როიალ ფიტნეს პრემიუმი''; ,,ვიზრუნოთ შინაურ ცხოველებზე" , რომლის ფარგლებში მოსწავლეები სკოლის მხარდაჭერით თბილისში სტუმრობდნენ თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარს; ,,როგორ გავარჩიოთ ყალბი ნამდვილი ინფორმაციისაგან"; ,,გვიყვარდეს კითხვა", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები სტუმრობდნენ სოფლის ბიბლიოთეკას; დებატკლუბის საჯარო დებატები სკოლაში; სკოლაში განხორციელდა სხვა პროექტებიც: ,,მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს"; ,,პლასტმასის მოხმარება და მისი გავლენა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე"; ,,ქიმიური ნაერთები საყოფაცხოვრებო ნივთებში"; ,,ეროვნული იდენტობა და ევროპული მუსიკის აზროვნების საკითხები ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში"; ,,არა ბულინგს, არა ძალადობას"; ,,არტეფაქტები კახეთში"; ,,დედამიწა ჩვენი სახლია", ,,სიკეთე გადამდებია", ,,აღმოაჩინე საგანძური", რომლის ფარგლებშიც სრულიად სასკოლო საზოგადოებისა და თემის ჩართულობით შეიქმნა ხელნაწერი ,,ვეფხისტყაოსანი" და სხვა. სკოლაში ასევე არსებობს სკოლის

თვითმართველობის მიერ დაკომპლექტებული ინტელექტუალთა გუნდი, რომელიც სკოლის მხარდაჭერით მუდმივად მონაწილეობს გურჯაანის ინტელექტ-კლუბის ,,რა? სად? როდის?" მიერ გამართულ შეჯიბრებებში, გასულ წელს გუნდი გახდა ,,ბროლის ბუს" მფლობელი. აღნიშნული გუნდი სკოლაშიც აწყობს მსგავს შეჯიბრებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა გუნდურობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას. სკოლა აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ მხიარულთა და საზრიანთა კლუბის შეჯიბრებებში. სკოლას და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სკოლა მუდმივად მონაწილეობს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში და აღწევს წარმატებებს, როგორც ზონალურ ასევე რაიონულ დონეზე. არაფორმალურ განათლებას ხელს უწყობს სასკოლო პროექტი: ,,ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა", რომლის ფარგლებშიც განხორციელდა არაერთი მინი პროექტი, აქტივობა და შემოქმედებითი ტიპის დავალება. სკოლაში ინტენსიურად ეწყობა ლაშქრობები და სასწავლო ექსკურსიები მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებითა და მშობლების თანხმობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას სკოლაში ძირითადად დამკვიდრებულია უკუკავშირის მიღება ზეპირი და წერილობითი ფორმით. სკოლის მხრიდან გაცნობიერებულია, რომ უკუკავშირი ძალიან მნიშვნელოვანია სამომავლო სამოქმედო გეგმის შედგენისთვის, რადგან ნათლად იკვეთება თუ რა უნდა განვითარდეს და რა უნდა შეიცვალოს. რეაბილიტირებულ სკოლაში სწავლის განახლების შემდეგ, სკოლაში განთავსდა სურვილების ყუთი, სადაც მოსწავლეები კონფიდენციალურობის დაცვით ათავსებენ საკუთარ სურვილებს. სკოლის დირექციის წარმომადგენლები, კი ყოველი სემესტრის ბოლოს გახსნიან ყუთს და ახდენენ საჭიროების ანალიზს, რათა განახორციელონ ქმედითი ნაბიჯები მოსწავლეთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. მომავალი სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინებით სკოლა შეიმუშავებს და გამოიყენებს უკუკავშირის უფრო ეფექტურ ფორმებს. ეს იქნება მოსწავლეების/მშობლების გამოკითხვა, ანკეტირება და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N1/კ-73, მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- რესურსოთახის ფოტოები;
- ექიმის კაბინეტის; სპორტდარბაზის, ბიბლიოთეკის, გარე მინი სტადიონის ფოტომასალა
- კომპიუტერული, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ფოტო
- ბრძანება N2-76, საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება 2-10, რემედიაციის პროგრამის დებულების დამტკიცების შესახებ
- მედიაწიგნიერების, დებატების კლუბის წესდება

- მუნიციპალიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი
- სასკოლო პროექტი;
- პროექტის ,,ვებრძოლოთ ადიქციას!" ფარგლებში -,,როიალ ფიტნეს პრემიუმში" სტუმრობის ბმული;
- პროექტი: ,,ვიზრუნოთ შინაურ ცხოველებზე"! თბილისის ძაღლთსაშენში სტუმრობის ბმული;
- სურვილების ყუთის ფოტო;
- ბრძანება N2-116, მე-10 კლასის მოსწავლეთა ექსკურსიის მოწყობის შესახებ

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლასა და კოლეჯ ,,აისს" შორის გაფორმებულია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯ ,,აისის" წარმომადგენლების მიერ ტარდება პროფესიული ორიენტაციის სახის საინფორმაციო შეხვედრები და აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს შესახებ, ასევე მოსწავლეები სტუმრობენ კოლეჯს, სადაც ათვალიერებენ მის მატერიალურ ტექნიკურ ბაზას, სახელოსნოებს, უტარდებათ მასტერკლასები დარგის სპეციალისტების მიერ, რაც მათ ეხმარებათ, სამომავლო პროფესიის სწორ არჩევაში. მიმდინარე წელს, სკოლაში ჩატარდა მშობლის დღე, რომლის ფარგლებშიც გაიმართა სხვადასხვა პროფესიის მშობლების შეხვედრა საკუთარი შვილის კლასის მოსწავლეებთან თავისი პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა ცდილობს დაეხმაროს მოსწავლეს სამომავლო პროფესიის სწორად შერჩევაში, დროულად აცნობს სიახლეებს ამ საკითხთან მიმართებაში. მაგალითად, სკოლის ელ.ფოსტაზე შემოსული ინფორმაცია სასწავლებლებიდან, რომლის საფუძველზეც იწვევენ მოსწავლეებს ღია კარის დღეზე, ონლაინ შეხვედრებზე, კლასის დამრიგებლები უზიარებენ მოსწავლეებს. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს, მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ცნობიერების ამაღლების მიზნით სსიპ კოლეჯ ,,აისის" წარმომადგენლების მიერ ტარდება

საინფორმაციო შეხვედრები, სადაც დეტალურად აცნობენ მოსწავლეებს სასწავლო პროგრამებს (ინტეგრირებული, დუალური, სამუშაოზე დაფუძნებული და კოოპერაციული), ჩარიცხვის პირობებს, პროცედურებს, სწავლის ხანგრძლივობას და კონკრეტული პროფესიების სამომავლო პერსპექტივებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგად მიღებულ შედეგებს. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს რეესტრს, რამდენი კურსდამთავრებული გახდა სტუდენტი უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებლებში. შემდგომ აკეთებს შეფასებას. სკოლას ხშირად სტუმრობენ კურსდამთავრებული მოსწავლეები, რომლებმაც სკოლის მიერ მიწოდებული სათანადო ინფორმაციის საფუძველზე დაგეგმეს თავიანთი კარიერა, აირჩიეს მომავალი პროფესია. ისინი საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ესაუბრებიან არჩეულ პროფესიაზე და აძლევენ რჩევა-დარიგებებს. სკოლა მომავალშიც გეგმავს გამოკვეთოს პროფორიენტაციის მიმართულებით საჭიროებები და შეფასების შემდგომ წარმართოს უფრო გაუმჯობესებული სადამრიგებლო მუშაობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმი
- კოლეჯში ვიზიტი - ბმული
- მშობლის დღე სკოლაში - ბმულები
- მემორანდუმი კოლეჯ 'აისთან'

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი** სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ბრძანებით ამტკიცებს ინკლუზიური განათლების სკოლის სამოქმედო გეგმას და სსსმ მოსწავლეებზე ორ კვირიანი დაკვირვების შემდეგ (ხოლო ახალი სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ერთი თვის განმავლობაში) ქმნის ისგ გეგმებს, რომელთა შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე

იქმნება ისგ ჯგუფები, თითოეულ ჯგუფს ჰყავს კოორდინატორი-კლასის ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის შეხვედრების ორგანიზებას. ჯგუფის სხდომაზე განიხილება სსსმ მოსწავლეების მიღწევები და საჭიროებები. განისაზღვრება შეხვედრის თარიღები. ყოველ შეხვედრაზე ფორმდება ოქმი, რომელიც ინახება სსსმ მოსწავლის პირად საქმეში (სასწავლო წლის ჯგუფის შეხვედრები იმართება მინიმუმ ოთხჯერ.) სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს წლიური სამუშაო გეგმებს, წერს ისგ-გეგმის ზოგად ნაწილს მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან თანამშრომლობით. საგნის მასწავლებლები ადგენენ ისგ გეგმებს მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით. სპეციალური მასწავლებლები ქმნიან ინტერვენციის გეგმას, ამ ეტაპზე ყველა სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებულია ი.ს.გ. გეგმა. მოსწავლის შეფასების და სტატუსის შეჩერების წარმოებისას სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება N 16/ნ -ით. სასწავლო წლის მანძილზე სპეციალური მასწავლებელი და საგნის მასწავლებლები სსსმ მოსწავლესთან ახორციელებენ მონიტორინგს გაწეული მუშაობის შესახებ. ასევე წლის ბოლოს სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს და დასკვნას აგზავნის შესაბამის დეპარტამენტში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს** სასკოლო საზოგადოება კეთილგანწყობილია ინკლუზიური განათლების მიმართ. სკოლაში დაცულია თითოეული მოსწავლის ხარისხიანი განათლების მიღების უფლება, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისაც. სსსმ მოსწავლეების წინსვლისა და განვითარების მიზნით ისგ ჯგუფები წლის განმავლობაში იკრიბებიან მინიმუმ 4-ჯერ, განიხილავენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, აფასებენ, საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები, მასწავლებლები ისმენენ ერთმანეთის აზრს, ითვალისწინებენ მშობლების მოსაზრებებს. დირექცია მხარს უჭერს სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვას და განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება 2-102, ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ისგ გეგმა;
- შიდა მონიტორინგის დასკვნა;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი N1;
- ინტერვენციის გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტიურად უზრუნველყოფს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების აქტივობების წახალისებას. სკოლას ემსახურება ტრანსპორტი. მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება სამი მიმართულებით. სკოლის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოყოფილია ტრანსპორტის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს სასადილო ოთახი, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს იჯარით ფართის გაცემას სადაც იფუნქციონირებს კვების ბლოკი, რომელიც იქნება კეთილმოწყობილი და დააკმაყოფილებს სტანდარტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას** სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, კერძოდ მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.** ტრანსპორტით მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიუ დირექციასთან.
- ბრძანება 1/კ-23, ტრანსპორტზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- ტაბელის ფორმა
- სასადილო ოთახის ფოტომასალა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლას აქვს 2024 წლის 9 ოქტომბრის ბრ.N2–107 დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. მეთოდოლოგიაში დეტალურად არის ჩამოყალიბებული კურიკულუმის შემუშავების არსი და მიმდინარეობა. სკოლას აქვს გამოცდილება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლებმა კათედრის სხდომებზე წინა წლის კურიკულუმის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე შეიმუშაონ ახალი კურიკულუმები. შესაბამისად, მასწავლებლები განსაზღვრავენ თემებისა და შემოქმედებითი დავალებების რაოდენობას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, შეიქმნება კურიკულუმის ჩარჩო, რომელშიც აისახება: სამიზნე ცნებები, საკითხები და ქვესაკითხები, მკვიდრი წარმოდგენები, შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობა, მის შესაქმნელად საჭირო საგანმანათლებლო და დამხმარე რესურსები. კურიკულუმის შემუშავებაში კვლავ მიიღებენ მონაწილეობას დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც. მეთოდოლოგიაში ასევე გათვალისწინებული იქნება სსსმ მოსწავლეებისათვის სპეციალური მასწავლებლის, მშობლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობით მოსწავლის საჭიროებებს მორგებული კურიკულუმების შემუშავება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან კურიკულუმის შემუშავებაში კვლავ აქტიურად ჩართოს სასკოლო საზოგადოება. კათედრის სხდომებზე შემუშავებული თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალების პირობები, ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები მოარგოს სრულიად სასკოლო საზოგადოების ინტერესებს: მასწავლებლის ინტერესებს, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო პროცესში, მიიღოს ცოდნა და გამოიმუშაოს განვითარებისათვის საჭირო უნარები, შეექმნას მკვიდრი წარმოდგენები შესწავლილი ამა თუ იმ თემის შესახებ, რომლებიც ხანგრძლივად დარჩება მეხსიერებაში; მოსწავლის ინტერესებს, შეძენილი უნარების საშუალებით მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი ცხოვრებაში; მშობლის ინტერესებს, მისმა შვილმა მიიღოს ხარისხიანი განათლება. სსსმ მოსწავლეთა ინტერესები გათვალისწინებული

იქნება მათთვის შედგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში, რომლის შედგენაში მონაწილეობას ღებულობს სპეც.მასწავლებელი, საგნის პედაგოგი და მშობელი. წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმებითა და მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმზე მუშაობენ გუნდურად, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და წინა წლის მიგნებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ სკოლაში არსებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე. სასწავლო წლის დასაწყისში კათედრაზე გასული სასწავლო წლის მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით სკოლას აქვს გამოცდილება, პედაგოგებმა განიხილონ საგნობრივი სტანდარტები კლასებისა და საგნობრივი პროგრამების მიხედვით; განსაზღვრონ თემები, საკითხები, შემოქმედებითი დავალებების პირობები და მისი შესრულებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე რესურსები. სპეციალური მასწავლებლის, საგნის მასწავლებლისა და მშობლის აქტიური ჩართულობით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი გაზიარებული და გათავისებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, კათედრის თავმჯდომარეები, საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ სასკოლო კურიკულუმს, როგორც სასკოლო-სასწავლო გეგმის ნაწილს, რომლის შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. სასკოლო კურიკულუმი გამჭირვალეა და საჯარო, ატვირთულია სკოლის ვებ.გვერდზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-107, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- კათედრის სხდომის ოქმი N1
- მშობელთა კრების ოქმი N1

- ისგ მე-9 კლასი, ბიოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- სკოლის ვებ.გვერდი
- ისგ-მე–10 კლასი, რუსული
- სკოლის ვებ.გვერდი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული შემოქმედებითი ტიპის დავალებები საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები და დამოკიდებულებები. მაგალითად, მე-9 კლასის, ბიოლოგიის ერთ-ერთი შემოქმედებითი ბუნების დავალების ბარათის თანახმად, მათ უნდა გააკეთონ ბუკლეტი, ენდოკრინული სისტემის მნიშვნელობაზე. აღნიშნული დავალების ფარგლებში მოსწავლეებმა თავად უნდა გადაწყვიტონ რა ინფორმაციაზე გაამახვილონ ყურადღება ბუკლეტში, როგორ გააფორმონ იგი ვიზუალირად, როგორ წარმოაჩინონ რამდენად მნიშვნელოვანია ენდოკრინული სისტემის ნორმალური ფუნქციონირება სხვა ორგანოთა სისიტემებისა და მთლიანად ორგანიზმისთვის და ა.შ. თითქმის ყველა შემოქმედებითი ტიპის დავალება სამივე საფეხურზე ეყრდნობა მოსწავლის მთლიან პიროვნულ ინტეგრირებულ გამოცდილებას და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, საგაკვეთილო პროცესი ისეა დაგეგმილი რომ მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ შემოქმედებითი დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამივე საფეხურზე თითოეული მოსწავლე ნამდვილად არის სწავლის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრივი თემები, რის მიხედვით ასახულია მოკლევადიანი (შუალედური) და გრძელვადიანი მიზნები, რასაც ახლავს საჭირო რესურსები და მეთოდლოგიური ნაწილი, რომლის მიხედვით მოსწავლეს მოახდენს შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას და საგნობრივი სტანდარტის კონკრეტულ შედეგზე გასვლას, რაც ასევე მკაფიოდ არის ასახული კურიკულუმის ჩარჩოში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი გეგმის მიღწევას. წარმოდგენილია დადგენილი აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი და დამატებითი რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მიერ **დაწყებით, საბაზო** და **საშუალო** საფეხურზე წარმოდგენილი სავალდებულო თემატური ბლოკები, თემები და კომპლექსური დავალებები ეყრდნობა მოსწავლეთა და პედაგოგთა წინა გამოცდილებას და პრაქტიკას, განისაზღვრება როგორც საფეხურის მისაღწევი შედეგების ორიენტირი. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიუკულუმები შემუშავებულია და ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და განსაზღვრავს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია მითითებული დავალებების, ხოლო სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით,

	ფსიქოემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებითა და საჭიროებებით. **კათედრას მიეცა რჩევა:** ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, კერძოდ, კურიკულუმები მათემატიკის სწავლების პროცესის დასაგეგმად, რაც ეფუძვნება ეროვნული სასწავლო გეგმის დოკუმენტს და მიმართულია მათემატიკის სამი სამიზნე ცნების მიღწევისკენ. წარმოდგენილი კურიკულუმები ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას, საკითხები დაჯგუფებულია თემების მიხედვით, თითოეული საკითხისთვის შერჩეულია რელევანტური ელექტრონული რესურსი, დასახულია გრძელვადიანი მიზნები, რომლის მიღწევაც შუალედური მიზნებით-კომპლექსური დავალებით ან პროექტითაა შესაძლებელი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, კურიკულუმის შედეგენისას აქცენტი გაკეთდა გრძელვადიან მიზნებზე მოსწავლეების შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით. **მასწავლებლებს მიეცათ რჩევა:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იყოს თემების უფრო მრავალფეროვანი არჩევანი. რადგან სპორტული დარბაზი და გარე სპორტულ მოედანი აღჭურვილია კალათბურთის ფარებით, ასევე სკოლას აქვს მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარი, კარგი იქნება თუ „კალათბურთს“ და „მაგიდის ჩოგბურთს“ შეიტანენ კურიკულუმებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ისტ	წარმოდგენილი საგნობრივი კურუკულუმი შემუშავებულია მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის საფუძველზე და წარმოადგენს მოსწავლეს საჭიროებებზე მორგებული პროცესის მაგალითს. ეს გარემოება გამოიკვეთა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს. მასწავლებლებმა ისაუბრეს კურუკულუმის დაგეგმვის და განხორციელების ეტაპებზე რა მეთოდებს იყენებენ შუალედური და გრძელვადიანი სასწავლო მიზნების მისაღწევად, როგორ ითვალისწინებენ წინა წლების გამოცდილებას და შეაქვთ ცვლილებები მომავალ წელს, პასუხობენ გამოწვევებს. ერტერთი გამოწვევა არის არარსებული გრიფირებული სახელმძღვანელო კომპიუტერული ტექნოლოგიებში: საგნის მასწავლებელმა დაასახელა რამოდენიმე საჭირო და სანდო სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს კურუკულუმის შემუშავების დროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პრინციპებს. დაგეგმვის პროცესში უპირატესობა მინიჭებულია მოსწავლის საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ კურიკულუმი რეგულარულად განახლდება მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ჩართულობასა და განვითარებაზე მორგებულ სასწავლო გარემოს. პედაგოგები ხედავენ სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების აუცილებლობას და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია,**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას, მათ შორის მათემატიკის და საბუნებისმეტყველო კათედრას გააზრებული აქვს თუ რამდენად არის კორელაციაში საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ - ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. აქვე, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, წარმოდგენილ თითქმის ყველა საგნობრივ

	კურიკულუმებში, გამონაკლისის გარდა, ყველა თემის ფარგლებში, ყველა სამიზნე ცნება იფარება, რაც იმას გულისხმობს, რომ მათემატიკის და საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს მზაობა იმისა, რომ კურიკულუმები მიემართებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. გასაუბრებისას გამოიკვათა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. **რამდენიმე რჩევა:** • საგნობრივი სტანდარტით მოცემული ყველა თემა იყოს გათვალისწინებული კურიკულუმში. მაგალითად: მე-7 კლასის ფიზიკის კურიკულუმში არაა წარმოდგენილი თემა: ,,მოსამზადებელი პერიოდი'; თემა ფრიად მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, რადგან ისინი პირველად იწყებენ აღნიშნულ კლასში ფიზიკის შესწავლას. • ყველა საფეხურზე და ყოველ კლასში გასათვალისწინებელია თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. კერძოდ, ქიმიის კურიკულუმებში, მე-8 კლასში,თემა: წყალი,ხსნარები, ასევე მე-10 კლასში, თემა: ელექტროსტატიკა,მხოლოდ ორი მცნება მუშავდება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმებში ასახულია გრძელვადნი მიზნები- სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, რომლებიც მუშავდება ესგ-ის მიხედვით განსაზღვრული თემატური ერთეულების ფარგლებში კონკრეტული საკითხების/ქვესაკითხების მიხედვით, სადაც ცოდნის გამთლიანებას მოსწავლე მოახდენს შემოქმედებითი ტიპის დავალებების ფარგლებში, რომლის მტკიცებულებები კათედრამ წარმოადგინა ბარათებისა და კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	კურიკულუმი პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, ანვითარებს მოსწავლის მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, ორიენტირებულია უცხოური ენების საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიანი მიზნების განვითარებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია,**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის **დაწყებითი**, **საბაზო და საშუალო** საფეხურის კურიკულუმები, წარმოდგენილი თემები, თემატური ბლოკები, სამიზნე ცნებები, რესურსები, შემოქმედებითი პროდუქტის, თუ კომპლექსური დავალების იდეები იძლევა შესაძლებლობას მოსწავლის პროცესში ჩართვისათვის. ყოველივე ეს მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნების, სამიზნე ცნებების და შედეგების მიღწევისკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას. სახელმწიფო ენის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრა კურიკულუმის დაგეგმვისას იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, რაც გულისხმობს მათემატიკის სამ სამიზნე ცნებაზე: მათემატიკურ მოდელზე, კანონზომიერებაზე და ლოგიკაზე მუშაობას, ესგ-ს შესაბამისად. ყველა კლასის მათემატიკის კურიკულუმში ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებისკენ სვლა, გაწერილია ყველა თემა და თემების შესაბამისი საკითხები, ზოგიერთი თემის დამუშავება ხდება კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებით, რაც ეხმარებათ მოსწავლეებს ესგთი განსაზღვრული მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები ითვალისწინებს შუალედური მიზნებით გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. თითოეულ თემაში მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული ცნებები და ქვეცნებები. კურიკულუმებში ყველა თემას ახლავს კომპლექსური დავალების იდეა - შიდა სასკოლო ან საკლასო სპორტული ფესტივალები. კომპლექსური დავალების საშუალებით მასწავლებლები უზრუნველყოფენ გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ისტ	შემუშავებული კურუკულუმში გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტის ყველა ცნება, შუალედური სასწავლო მიზნებისთვის შექმნილია და ხორციელდება შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. სწავლების სხვასხვა ეტაპზე გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად ცნებების დამკვიდრების მიზნით ხორციელდება მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმი მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მეტწილ კურიკულუმებში მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები ჩაშენებულია ბმულების სახით, ასევე წარმოდგენილ რესურსებში გვაქვს როგორც გრიფირებული ასევე დამხმარე სახელმძღვანელოები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათემატიკის და საბუნებისმეტყველო კათედრაზე სასწავლო წლის დასაწყისში ხდება საგანმანათლებლო რესურსების ერთობლივად შერჩევა/განხილვა და სასწავლო პროცესში დანერგავა. რესურსები მწირედ არის წარმოდეგენილი დაწყებითი საფეხურის მე-3 და მე-6 კლასის კურიკულუმებში. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის მე-3 და მე-6 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. მიეთითოს გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში რესურსების სვეტში ასახულია ელექტრონული სასწავლო რესურსები, რომელიც საშუალებას იძლევა დამუშავდეს შემოქმედებითი ტიპის დავალება კონკრეტული საკითხის ფარგლებში. კურიკულუმებში

	წარმოდგენილი რესურსები მეთოდურად მორგებულია თემებსა და საკითხებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალიწინებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და დამატებითი რესურსები, რაც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას კურიკულუმით გათვალისწნებული სწავლის შედეგს მიაღწიონ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე, **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი რესურსით. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც წარმოდგენილია ფოტომასალით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. სახელმძღვანელოს ტექსტების პარალელურად დამატებით ტექსტებთან ერთად მოცემულია ელექტრონული ბმულებიც. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული რესურსები: სიტყვების ყუთი, დასურათებული ბარათები, ზღაპრის პერსონაჟის ილუსტრაციები, სიტყვების გამომძიებელი, გრაფიკული მაორგანიზებლები, სიტყვის სკივრი, პერსონაჟისა და ამბის რუკა. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში რესურსებსა და კონტექსტმაგალითებში ასახულია პარალელური ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების შესახებ, ინტერაქციული მულტიმედიური სავარჯიშოები, ტელესკოლის გაკვეთილები. ასევე, რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის გრაფიკული მაორგანიზებლები და სქემები. სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ძირითად ტექსტებთან ერთად მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მართლაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების და რესურსების ჩამონათვალი. გამოყენებული ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული

	სწავლის შედეგების მიღწევას. ელექტრონული ბმულები მოცემულ საკითხებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმებში ყველა თემასთან მიმართებით მასწავლებლებს გაწერილი აქვთ მრავალფეროვანი რესურსები ლინკების სახით, როგორც სახელმძღვანელოები, გზამკვლევები, ასევე პრეზენტაციები. აღნიშნული რესურსები, რომელიც განიხილეს კათედრის სხდომაზე, ხელს უწყობს დასახული სასწავლო მიზნის მიღწევას და შეესაბამება ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ისტ	გამოყენებული ტექნიკური და საგანმანათლებლო სასწავლო რესურსები შესაბამისია სასწავლო თემების შედეგების მისაღწევად. წარმოდგენილი მოსწავლეების ნაშრომები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული შუალედური და გრძელვადიანი მიზნების განხორციელებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. **რჩევა:** კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. მიეთითოს გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლას აქვს განხორციელებული აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე მომავალი სასწავლო წლისთვის გეგმავს კურიკულუმის მოდიფიცირებას. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. აქვე, ამავე დოკუმენტის მიხედვით სკოლამ

	ჩაატარა სადიაგნოსტიკო წერა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. ასევე სკოლას აქვს რემედიაციის პროგრამა, რომელიც ხორციელდება წარმატებით. შესაბამისად, სკოლა აკმაყოფილებს ამ ინდიკატორს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობითა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოვლინდა, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ახდენს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომას და კურიკულუმის შექმნის პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს, მზაობასა და შესაძლებლობებს. რაც იძლება მოსწავლეზე ინდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწიენებასა და მასზე სასწავლო პროცესის მორგებას, რასაც ადასტურებს ისგ- ის მიხედვით ადაპტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები და აქტივობები, რის ფარგლებშიც ხორციელდება დიფერენცირებული მიდგომები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	კურიკულუმში გათვალისწინებულია და ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა ისაუბრეს როგორ გეგმავენ სასწავლო პროცესს, როგორ იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას და ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობას. სსსმ მოსწავლეებისთვის შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რითაც გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლეების სწავლების მიმართ და მათთვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში სხვა საგნებთან ერთად გაწერილი არის აქტივობები სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია .**
სახელმწიფო ენა	სასწავლო კურიკულუმში ნაწილობრივ ჩანს დიფერენცირებული ან ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო რესურსები, აქტივობები და დავალებები. მასწავლებელთა რეფლექსიიდან და ურიერთდასწრების შეხვედრის ოქმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა დიფერენცირებილი/ინკლუზიური მიდგომებით საწყის ეტაპზეა, მეტ-ნაკლებად ხდება ამ მიდგომების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში. ამიტომ, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეეცდება, უფრო მეტი ხარისხით დანერგოს დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს დაწყებით საფეხურზე განხორციელებულ

	რემედიაციის პროგრამებში. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. კურიუკულუმში ასახულია ინტერესები სსსმ მოსწავლეებისა, რომლებიც სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. სსსმ მოსწავლეთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მომსახურება სკოლაში ჩარიცხვის მომენტიდან. **კათედრას მიეცა რჩევა:** თვალსაჩინოდ გამოიკვეთოს სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, განხორციელებული აქტივობები და დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლის მათემატიკის კათედრამ წარმოადგინა გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის, ასევე გვაჩვენა ქვიზების ნიმუშები, რაც დიფერენცირებისთვის საჭირო ინსტრუმენტია; კათედრამ წარმოადგინა დიაგნოსტიკური შეფასების ნიმუშები, რაც დასკვნების გაკეთების და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვის საშუალებას იძლევა. ეს ყველაფერი კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინკლუზიურობას და დიფერენცირებულობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მუშაობის, რაც ცხადი გახდა წარმოდგენილი დოკუმენტაციით. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ შეუძლიათ დავალების მოდიფიცირება და მოსწავლის საჭიროებაზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა სასწავლო პროცესის ინკლუზიურობის და დიფერენციაციის პრინციპების გაგება და შესრულება. ინტერვიუს დროს ჩამოთვლილი მეთოდები სრულად ითვალისწინებს მათ. კატედრის წევრებს აქვთ გამოცდილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის და გააზრებული აქვთ, საჭიროების შემთხვევაში, მისი მოდიფიცირების აუცილებლობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. სკოლისთვის გამოცდილი პრაქტიკაა სადიაგნოსტიკო

	შეფასებები - ინდივიდუალური და საერთო საკლასო საჭიროებების გამოვლენისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. ამისთვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, რომლებიც უნდა მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს.კათედრის მიერ წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შედგენილია სამიზნე ცნებების,შედეგების მიღწევის ინდიკატორების და სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მოლოდინები,რომლებსაც მოსწავლემ უნდა უპასუხოს.ასევე წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელშიც, შეფასების კრიტერიუმების სახით, მოცემულია სამიზნე ცნებები და თემასთან დაკავშირებული მოსალდნელი შედეგები,რომელთაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი ქულები . მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, როგორც დაწყებით ისე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ამრიგად, რუბრიკები მიემართება გრძელვადიან სასწავლო მიზნებს, ვინაიდან მათში, შეფასების კრიტერიუმების სახით, წარმოდგენილია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სატნდარტების, სამიზნე ცნებები შესაბამის შედეგებთან ერთად. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც აგებულია გრძელვადიანი მიზნების პრინციპებით. განმსაზღვრელ შეფასებას მინიჭებული აქვს ქულები, ხოლო განმავითარებელი შეფასება კონკრეტული თემის/საკითხის მიხედვით ახდენს მოსწავლის მიღწევების ანალიზს და საჭირო უკუკავშირის გაცემის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმის ჩარჩოებს თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლისთვის ნაცნობია და მასწავლებელს

	საშუალებას აძლევს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების მიხედვით მოახდინოს უკუკავშირის გაცემა, რომელიც კონკრეტული დავალებების მიხედვით ხორციელდება. განმსზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ეყრდნობა გრძელვადიან სასწავლო მიზანსა და წარმოდგენილია ესგ- ის პრინიპებთან მიმართებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	კურიკულუმი გადის უცხოური ენების სტანდარტით მოთხოვნილ გრძელვადიან მიზნებზე. გათვალისწინებულია შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის შესაბამისი აქტივობები. შეფასება ხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებით. განმავითარებელი შეფასება აფასებს მოსწავლის ცოდნის დონის მიღწევას თემის შესაბამისად. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის მიშვეობით მოსწავლე ფასდება ქულებით და ქულას აქვს შესაბამისი კრიტერიუმი. შეფასების რუბრიკები პასუხობს ესგ-ს გრძელვადიანი მიზნების მიღწევის მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე წარმოდენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სახვითი და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. **რჩევა:** მუსიკის საგანში, სასურველია, საბაზო საფეხურის ყველა ცნება - ბგერა, რიტმი, მელოდია, ჰარმონია, ფორმა და ჟანრი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში გაიწეროს დამოუკიდებლად თემასა და საკითხთან მიმართებაში და მიენიჭოს მათ 1 ქულა, რაც ჯამში შეადგენს დადებითი შეფასების 6 - მაქსიმალურ ქულას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკა საფეხურების მიხედვით: საკლასო და საშინაო დავალების შეფასების რუბრიკები, მასწავლებლის დაკვირვების სქემა, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების სახით. ელექტრონულ

	ჟურნალში შედის განმავითარებელი კომენტარები და სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აკეთებენ სტრუქტურულ შეფასებას სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარე. **კათედრას მიეცა რჩევა:** როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწონ, მოარგონ სასწავლო თემებს, გაითვალისწინონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და სტანდარტის შედეგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა რუბრიკებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, სკოლამ დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინა შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, სადაც გაწერილია ქულების მინიჭების პრინციპი. შეფასების წარმოდგენილი ნიმუშები შეესაბამება ესგ-თი განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	მასწავლებლებს ყველა კურიკულუმის ბოლოს წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და აქვთ მზაობა შეფასება წარმართონ სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით. **მასწავლებლებს მიეცათ რჩევა:** სასურველია, რომ შეფასების რუბრიკების შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს თემის სპეციფიკა და უფრო მეტად დაკონკრეტდეს შეფასების კრიტერიუმები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების (როგორც განმავითარებელი, ასევე გამსაღვრელი) რუბრიკები ეფუძნება შეფასების პრინციპებს, შემუშავებულია კატედრაზე ერთობლივად. **რჩევა:** საჭიროა შეფასების კრიტერიუმები მორგებული იყოს კონკრეტულ სასწავლო აქტივობას, ნათლად ასახავდეს აქტივობის საბოლოო შედეგის მიღწევის ეტაპებს, აქტივობის მიზნიდან გამომდინარე. სასურველი იქნებოდა სკოლის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს

	პროფესული განვითარების მიზნით შეფასების სისტემის შესახებ დამატებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლეთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზე. სისტემაში ნათლად ჩანს უკუკავშირის მექანიზმები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის აკადემიური პროგრესის და პიროვნული განვითარებისთვის საჭირო უნარების ამოცნობასა და გაძლიერებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.წ.;
- ბრძანება N2-107, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- კომპლექსური დავალების ნიმუში, განმავითარებელი შეფასებით;
- კათედრის წევრების მიერ ურთიერთ დასწრების გეგმა და რეფლექსია;
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა;
- კათედრების სხდომის ოქმები
- ჰოლისტური შეფასების რუბრიკები
- სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში მოცემულია მრავალფეროვანი და საინტერესო შემოქმედებითი ბუნების დავალებები, რომელიც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ სასწავლო პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. შემოქმედებითი დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ამას ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალების ბარათები. მასწავლებელთა გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მზაობა მომავალი სასწავლო წლისთვის ასევე მათი სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე შემოქმედებითი დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს ზუსტი აქცენტები მისი, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. შესაბამისად, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს. მასწავლებლები ურთიერთშეფასებისას და მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე ახდენენ კურიკულუმების მოდიფიცირებას, რაც შემდეგში იძლევა საშუალებას მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა მზაობა. საჭიროებები და ინტერესები. კათედრას ამისთვის შემუშავებული აქვს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ასევე სემეტრში ერთხელ ახორციელებს მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საჭიროების შესაბამისად ხდება მოდიფიცირება, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმნეტების და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად. კათედრის წევრები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, სკოლა ახდენს განხორციელების პროცესზე მონიტორინგს, ხდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით საჭირო ცვლილებების ასახვა კურიკულუმში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზდრის კათედრაზე, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე,** წარმოდგენილი მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში მკაფიოდაა განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. თემატური ბლოკებსა და თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, რომელთა დაძლევას/გააზრებას ემსახურება თემის ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები, განსაზღვრულია ქვეცნებები. კურიკულუმებში წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტების, თუ კომპლექსური დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია შემოქმედებითი ტიპის დავალებების სახით. სწავლის შედეგები მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმში ჩაშენებული დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. შემაჯამებელ და კომპლექსურ

	დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქოემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია სამივე საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა მოსწავლეები ამუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე. ამის დასტურად, კათედრამ წარმოადგინა კომპლექსური დავალების შესრულების აქტივობები, მოსწავლეთა ნამუშევრების ნიმუშები; ასევე, წარმოადგინეს რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. სასწავლო პროცესზე მონიტორინგი, დაკვირვება, შეფასებები მოწმობს და მეტყველებს კათედრის მიერ დაგეგმილის მიხედვით პროცესის წარმართვაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სხვადასხვა თემასთან გაწერილია კომპლექსური დავალების პირობად შიდა სასკოლო და საკლასო სპორტული ფესტივალები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ განახორციელეს შიდა სასკოლო სპორტული ფესტივალები, ასევე სხვადასხვა დროს წარმატებით მონაწილეობდნენ სასკოლოთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში: რაიონის პირველობაზე მძლეოსნობაში, სადაც დაიკავეს გუნდური პირველი ადგილი, ასევე სკოლის ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე რაიონში პირველი, ხოლო რეგიონალურ ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა, რაზეც მოწმობს მიღებული ჯილდოები და სკოლის სოციალურ გვერდზე ატვირთული ფოტო მასალა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ისტ	კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, გაკვეთილის გეგმების, სხვა დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სწავლის პროცესი სრულად შეესაბამება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კომპიუტერული ტექნოლოგიების სტანდარტებს. სასწავლო გეგმები ეფუძნება სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივ სტანდარტებს. დაგეგმილი აქტივობები მიზნად ისახავს სწავლის შედეგების მიღწევას და სრულად ეთანხმება სკოლის საგანმანათლებლო ხედვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს მოსწავლის, ოჯახის ან საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აყალიბებს შემხვედრ საჭიროებებზე მორგებულ მიდგომებს და სასწავლო პროცესს. თუ მოსწავლეს სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა (მაგალითად, სირთულე აქვს რომელიმე საგანში), სკოლა სთავაზობს რემედიაციას. სკოლა რეაგირებს იმაზე, თუ მოსწავლეს აქვს სტრესი ან ფსიქო-სოციალური პრობლემები და სთავაზობს ფსიქოლოგის მომსახურებას. სკოლა უსმენს მოსწავლეებსა და მშობლებს და მათი გამოხმაურების საფუძველზე აუმჯობესებს სასწავლო პროცესს. მასწავლებლების თქმით, შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მიზნით, მაგ. თუ რომელიმე აქტივობამ ვერ იმუშავა სწავლების პროცესში, ხდება მისი ცვლილება სხვა აქტივობით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში მოდიფიცირდება ინდივიდუალური გეგმები. სკოლა აღწერდა, რომ ამ საჭიროებების დადგენას ახდენს მშობლებთან აქტიური კომუნიკაციითა და მათთან შეხვედრების შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. სწავლა-სწავლების პროცესში მუდმივად ხდება დაკვირვება, თუ სად იკვეთება სუსტი მხარე კურიკულუმის დანერგვისას, შესაბამისად სკოლა რეაგირებს გამოკვეთილ საჭიროებებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების საშუალებით დგინდება, რომ მასწავლებელი შეფასებას შეიმუშავებს გრძელვადიანი მიზნის მიღწევის, ასევე პროცესის გასაზომად, რომლითაც ეს შედეგი მიიღწევა და საერთო ჯამში შედეგების გასაუმჯობესებლად. შემაჯამებელი დავალება, შმოქმედებითი დავალების პირობა იძლევა მიზნის

	მიღწევის, მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას შერჩეული სწავლა-სწავლების რესურსების საშუალებით. წარმოდგენილი კურიკულუმებში განსაზღვრულია შემოქმედებითი დავალების პირობა და მოსწავლის მიერ შესაქმნელი სხვადასხვა პროდუქტი, რომლებიც მოსწავლის ფუნქციურ-კოპონენტური უნარებისა და უფრო მაღალი დონის სააზროვნო უნარების (პრობლემის გადაჭრა, შეფასება და ა.შ.) განვითარების ხელშემწყობია. ასევე შესაძლებელია ამ პროცესში მოსწავლეებმა განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს. სწავლის შედეგის ხარისხის შეფასების საშუალებას იძლევა შეფასების რუბრიკებში გაწერილი კრიტერიუმები. იკვეთება, რომ კრიტერიუმები ორიენტირებულია მასწავლებლის მიერ შერჩეული მიზნისკენ / სწავლის შედეგისკენ, აქედან გამომდინარე შეფასება არის ვალიდური, შეფასების აღმწერები კრიტერიუმებში სწორად არის შერჩეული, მოწოდებულ შემაჯამებელ დავალებებში და შეფასების რუბრიკაში ჩანს, როგორ ფასდება მოსწავლეების ნამუშევარი და რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, რითაც შეფასება გამჭვირვალე ხდება. შეფასების რუბრიკები კარგადაა გააზრებული და გაწერილი, რაც შესაძლებელს გახდის სხვადასხვა შემფასებელი ადვილად მიიყვანოს საერთო შეფასებამდე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა, რითაც შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების, შეფასების რუბრიკების გაცნობისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა ახდენს ობიქტური შეფასების განხორციელებას. კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იძლევა საშუალებას სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების სისტემის კიდევ უფრო მეტად ვალიდურობისთვის მასწავლებლები სასწავლო წლის დასაწყისში შემოქმედებით პროდუქტთან მიმართებით ქმნიან შეფასების რუბრიკებს, რომელიც თან ახლავს საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებს, რომელიც ეფუძნება ესგ- ის პრინციპებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები, რომლებიც აფასებს მოსწავლეების უნარებს. როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასებისთვის. სკოლის მიერ წარმოდეგენილი შეფასების სისტემა იძლევა შესაძლებლობას შეფასება იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს რომ **დაწყებით, საბაზო და საშუალო** საფეხურზე კურიკულუმებს თან ახლავს განსმაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს, მორგებულია სასწავლო თემებზე და სამიზნე ცნებებზე. მოსწავლეთათვის შეფასების რუბრიკები ნაცნობია, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ჰოლისტურ რუბრიკებს. შეფასების რუბრიკების შედგენის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ შემდეგს: რისთვის ვაფასებთ (შეფასების მიზანი), რას ვაფასებთ (შეფასების საგანი), როგორ ვაფასებთ (შეფასების ხერხები), ვის ვაფასებთ (შეფასების ობიექტი), როდის ვაფასებთ (რა სიხშირით და რა ვადებში) და როგორ ვიყენებთ შეფასების შედეგებს (მონაცემთა ანალიზი). ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე, მას გააზრებული აქვს დადებითად რომ შეფასდეს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. **კათედრას მიეცა რჩევა:** როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწონ, მოარგონ სასწავლო თემებს, გაითვალისწინონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და სტანდარტის შედეგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასებები აკმაყოფილებს შეფასების ხუთივე პრინციპს, სკოლამ წარმოადგინა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და შეფასების ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელ პირთა ჯგუფი, შესაბამისი ოქმი და ურთიერთდასწრების ოქმი. მოთხოვნის შესაბამისად კათედრამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები და შესაბამისი ტესტები, სადაც დავალებებს მინიჭებული აქვს ქულები. გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ რუბრიკებს ეცნობიან მოსწავლეები, შემაჯამებელ დავალებებში დავალებას უწერია ქულები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები შეფასებისას ყურადღებას ამახვილებენ თუ რომელ საფეხურებრივ ჯგუფს აფასებენ. მასწავლებლები წინასწარ აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რა და როგორ შეფასდება. ვიზიტის შემდეგ მასწავლებლებმა წარმოადგინეს ფიზიკური განვითარების ტესტი - მძლეოსნობის, რომელიც შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ პრინციპებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ისტ	სკოლის მიერ მოწოდებული შეფასების სისტემა ეყრდნობა შეფასების მთავარ პრინციპებს, დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე (გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და შედეგები). მოსწავლეების შეფასება ხდება არა მხოლოდ საბოლოო შედეგით, არამედ მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში, სხვადასხვა აქტივობაზე დაკვირვებით. **რჩევა:** საჭიროა, ჩემი აზრით, შეფასების რუბრიკების შედგენის დროს შეფასების კრიტერიუმების დახვეწა, რათა კრიტერიუმები იყოს მეტად მკაფიოდ ჩამოყალიბებული სასწავლო მიზნის და მოსწავლის ნაშრომის შესრულების ეტაპების გათვალისწინებით საბოლოო შედეგის შეფასებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ მოწოდებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, გასაგებად არის გაწერილი თუ როგორ და რის მიხედვით შეფასდებიან მოსწავლეები (გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებებზე, შედეგებზე, დაყრდნობით), მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლაში 2024 წლის 28 მარტის ბრ. N2-17 დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი და მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცედურების განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა ვერიფიკაციის გეგმა სასწავლო წლის დასრულებამდე. მომავალი სასწავლო წლიდან ჯგუფი იმუშავებს ინტენსიურად მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცედურების განსახორციელებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა სათანადო შეფასებას და აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში, რომელზეც ხდება გარკვეული ინტერვალებით მონიტორინგი, როგორც კლასის დამრიგებლების, ისე დირექტორის მოადგილის მიერ. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. წინა წლების მატერიალური ჟურნალები, კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები, კლასების და საგნების მიხედვით ნიშნებისა და შემაჯამებლის ფორმები შენახული და დაცულია სკოლის არქივში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკები;
- ბრძანება N2-17, მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N1/კ-32, მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცედურების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1;
- ვერიფიკაციის გეგმა;
- წიგნის კლუბის წესდება.
- სასწავლო პროექტი ,,ზღაპრების სამყაროში“
- ბრძანება N2-10, რემედიაციის პროგრამის დებულების დამტკიცების შესახებ;
- რემედიაცია (გეგმა, ანგარიში);
- .ბრძანება #2-107 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024–2025 წ.
- კათედრის სხდომის ოქმები.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

- შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები;
- სამოქალაქო განათლების კლუბის წესდება;
- პროექტი ,,მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში შეფასების რუბრიკით.
- XI კლასის გეოგრაფიის კურიკულუმი განმავითარებელი შეფასებით და დიაგნოსტირებით;
- მედიაწიგნიერების კლუბის წესდება.
- პროექტი მოქალაქეობაში შეფასების რუბრიკით
- შემაჯამებელი დავალების ნიმუში შეფასების რუბრიკით

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში სამივე საფეხურზე მითითებულია ძირითადი (გრიფირებული) და დამხმარე რესურსები - სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების ლინკები. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შესრულებული პროექტული დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მითითებულ რესურსებს. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მე-3 და მე-6 კლასის კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. სასურველია დაკონკრეტდეს მითითებული რესურსების ბმულების მისამართები და დასახელებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული და დამატებითი დამხმარე რესურსების გამოყენებას. კურიკულუმში წარმოდგენილია დამატებითი

	რესურსების მასალა, რომლებიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, რასაც სკოლა უზრუნველყობს მატერიალური ბაზით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	კურიკულუმის განხორციელებისთვის იყენებენ დამხმარე სასწავლო რესურსებს როგორც ონლაინ - ბრიტანეთის საბჭოს რესურსებს ისე მასწავლებლების მიერ შექმნილ რესურსებს, რაც დასტურდება სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმნეტების და ინტერვიუს მეშვეობით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნების სწავლებისთვის შერჩეულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. დამხმარე რესურსად მუსიკის საგანი იყენებს სამინისტროს მიერ შეთავაზებულ ბეჭდურ რესურსებს, როგორც თემებისა და საკითხების სახით აგრეთვე ვიდეო-აუდიო რესურსის ფორმატით. მასწავლებლები გაკვეთილზე იყენებენ პერსონალურ კომპიუტერს, ხმის გამაძლიერებელს, პროექტორს მოსწავლეთა პრეზენტაციების წარსადგენად, ხელნაკეთ ინსტრუმენტებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისთვის კი სხვადსხვა თვალსაჩინოებას, პლაკატებს, პრეზენტაციებს და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია დამატებითი ტექსტები, ვიდეომასალა, პლაკატები, სქემები, ვიზუალური მასალა. დაწყებით საფეხურზე რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული რესურსები. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კი დამხმარე რესურსებად მოცემულია მხატვრული ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების შესახებ, ინტერაქციული მულტიმედიური სავარჯიშოები, ტელესკოლის გაკვეთილები. ასევე, სხვადასხვა სახის გრაფიკული მაორგანიზებლები. ასე რომ, სახელმწიფი ენის კურიკულუმებში ძირითად ტექსტებთან ერთად სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები. **კათედრას მიეცა რჩევა:** სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები უფრო გაამრავალფეროვნონ. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თავადაც შექმნან უფრო მეტი სასწავლო რესურსი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

მათემატიკა	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სკოლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსების გამოყენებით, სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი და მათემატიკის კათედრების სხდომის ოქმები, სადაც დანართის სახითაა წარმოდგენილი გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, ეს რესურსები კი საკითხების მიხედვითაა მითითებული კურიკულუმებში. **რჩევა 1:** სასურველია, თემის დამუშავებისას რესურსების სვეტში ჩაწეროთ კონკრეტულად იმ რესურსის/რესურსის ბმულის მისამართი, რაც შესაბამისი საკითხის დამუშავებას ემსახურება და ჰიპერბმულის საშუალებით მიამაგროთ კონკრეტული საკითხის სათაურს. ეს დაგეხმარებათ რესურსების მარტივად შერჩევაში საკითხის სწავლების დროს. **რჩევა 2:** სასურველია, შემოქმედებითი დავალების სვეტში მხოლოდ სათაური ჩაიწეროს იმ დავალებისა, რის დამუშავებასაც გეგმავთ, ხოლო შემოქმედებითი დავალება ბარათის სახით დანართად წარმოადგინოთ, ეს ხელს შეუწყობს კურიკულუმის ლაკონურობას და მის ვიზუალურად ლამაზი სახით წარმოდგენას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	კურიკულუმებში თემებთან მიმართებით წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსი ლინკების სახით: სახელმძღვანელოები, გზამკვლევები მასწავლებლებისთვის, პრეზენტაციები სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმოშობის ისტორიით და ძირითადი წესებით. მასწავლებლები რესურსებს საჭიროების მიხედვით იყენებენ თემაში მოცემული საკითხების უკეთ გასააზრებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ისტ	რესურსების შერჩევა და გამოყენება ემსახურება მოსწავლის შედეგების მიღწევას, ხელს უწყობს მის ჩართულობას და სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას. მასწავლებელი ეფექტურად აერთიანებს როგორც ბეჭდურ, ასევე ციფრულ და ვიზუალურ მასალებს, რაც ზრდის სწავლების ხარისხს და მოსწავლის მოტივაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში მიზანმიმართულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები. რესურსების შერჩევა და გამოყენება ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლა-სწავლების

	პროცესის გამრავალფეროვნებას. მასწავლებელი ეფექტურად აერთიანებს ბეჭდურ, ციფრულ და ვიზუალურ მასალებს, რაც ზრდის სწავლების ხარისხსა და მოსწავლის მოტივაციას. **რჩევა:** ზოგიერთი საგნის კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. სასურველია დაკონკრეტდეს მითითებული რესურსების ბმულების მისამართები და დასახელებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში სამივე საფეხურზე მითითებულია ძირითადი (გრიფირებული) და დამხმარე რესურსები – სასწავლო პროცესში გამოყენებული სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების ლინკები. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შესრულებული პროექტული დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ მითითებულ რესურსებს. **რჩევა:** დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მე-3 და მე-6 კლასის კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. სასურველია დაკონკრეტდეს მითითებული რესურსების ბმულების მისამართები და დასახელებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი კათედრის მიერ გაზიარებული დოკუმენტების გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს დამხმარე რესურსების მობილიზება და მათი გამოყენება. სკოლაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. აღნიშნული მიმართულებით აქტიურად გამოიყენება ელექტრონული პლათფორმები. ასევე სკოლაში სასწავლო დამატებითი რესურსების სახით გამოიყენება კათედრის მიერ შექმნილი რესურსები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრასთან გასაუბრების შედეგად და წარმოდგენილ დოკუმნეტებზე დაყრდნობით ჩანს რომ საგნობრივი კათედრა შეიმუშავებს სხვადასხვა ტიპის სასწავლო რესურსებს,

	როგორც ხელით შემნილს ასევე ელექტრონულს და ახდენენ მათ ვალიდაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილი **რესურსები ვალიდურია. ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციისათვის სკოლა იყენებს ზეპირ შეთანხმებას კათედრის წევრებს შორის. სახელმწიფო ენის კათედრაზე თანხმდებიან, რომ რესურსი საგნობრივად და ეთიკურად მიზანშეწონილია. კათედრა თვითონ იღებს პასუხისმგებლობას, რომ შერჩეული რესურსი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მისი მიზნების მიღწევას უწყობს ხელს, არის ასაკისათვის შესაფერისი, არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან მიკერძოებულ შინაარს და ითვალისწინებს მოსწავლის განვითარების დონესა და ინტერესებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა კათედრის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საიდანაც ჩანს, რომ მათემატიკის კათედრაზე ხდება რესურსების შერჩევა და მათი ვალიდაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	როგორც სკოლის დოკუმენტაციით გახდა ცნობილი და ინტერვიუზეც დაადასტურეს მასწავლებლებმა, საგანმანათლებლო რესურსები განიხილეს კათედრის სხდომაზე და შეარჩიეს ისეთი რესურსები, რომელიც ხელს უწყობს გაკვეთილის სასწავლო მიზნების და აქტივობების განხორციელებას. კათედრის სხდომაზე დაადგინეს, რომ წარმოდგენილი სასწავლო რესურსების გამოყენება მიზანშეწონილია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ისტ	**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, რესურსები წინასწარაა შერჩეული კათედრის მიერ. გათვალისწინებულია მათი ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული ყველა რესურსი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც ახალი რეაბილიტირებულია და აღჭურვილია უახლესი ხელსაწყოებით, გამწოვი სისტემით, სველი წერტილით (ონკანი), სადემონსტრაციო მაგიდა აღჭურვილია ცეცხლგამძლე ზედაპირით, რაც უზრუნველყოფს ცდების უსაფრთხოდ ჩატარებას. ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები. კათედრა ეფექტურად იყენებს აღნიშნულ ლაბორატორიას სწავლა-სწავლების პროცესში და განსაკუთრებული მზრუნველობით უვლის. შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აღჭურვილია ყველა იმ სახის მატერიალური რესურსით, რომელიც საჭიროა კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისთვის. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, კომპიუტერებით, პროექტორით და სხვა მსგავსი ტიპის ტექნიკურ- მატერიალური რესურსებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
უცხოური ენები	სკოლას აქვს ყველა საჭირო პირობა რათა უზრუნველყოს კურიკულუმის განხორციელება. ასევე, კურიკულუმში გათვალისწინებულია ის მატერიალური რესურსი რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილია სხვადასხვა თვალსაჩინოებები, პლაკატები, პრეზენტაციები, ინსტრუმენტები, კაბინეტი, პროექტორი, ლეპტოპი, ხმის გამაძლიერებელი და სხვა **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და აღჭურვილ საკლასო ოთახებს, დიფერენცირებულ საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილ საკლასო ოთახებს, ძირითად და დამხმარე რესურსს. სწავლის პროცესში შედეგის მიღწევა დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა სკოლას შესაბამისი გარემო და ტექნიკური შესაძლებლობა. სახელმწიფო ენის კათედრა მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, სახელმწიფო ენის კურიკულუმით გათვალისწინებულ აქტივობებში თითქმის ყველა თემაში გვხვდება ვიდეორგოლის, ანიმაციის ან მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნახვა განსახილველად. შესაბამისად, სკოლა კომპიუტერითა და

	პროექტორით უზრუნველყოფს კურიკულუმით მისაღწევი შედეგების მატერიალურ უზრუნველყოფას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს ისტ ტექნოლოგიების კაბინეტს, რომელიც უზრუნველყოფილია ახალი ტექნოლოგიებით და სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისია. დაწყებითი და მათემატიკის კათედრები იყენებენ თავის შექმნილ ელექტრონულ რესურსებსაც, რაც მათ ეხმარებათ სწავლა-სწავლების პროცესი უფრო საინტერესოდ წარიმართოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
სპორტი	სკოლას აქვს ახლად რეაბილიტირებული შიდა სპორტული დარბაზი და გარე სპორტული მოედანი. სპორტის დარბაზი აღჭურვილია კალათბურთის ფარებით, ფრენბურთის ბადით, ხოლო გარე სპორტულ მოედანზე დამონტაჟებულია ფეხბურთის კარები და კალათბურთის ფარები. აქვთ ყველა საჭირო სპორტული ინვენტარი: ბურთები, ტანვარჯიშული სკამები, მაგიდის ჩოგბურთი. სოფელ დარჩეთის დაწყებითი სკოლის შენობაში არ აქვთ სპორტის დარბაზი, მაგრამ შენობაში აქვთ გამოყოფილი სივრცე, ასევე აქვთ ეზო, სადაც მასწავლებლები ახორციელებენ სპორტულ აქტივობებს. სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას მასწავლებლებმა განახორციელონ კურიკულუმით დაგეგმილი ყველა სპორტული აქტივობა. **ინდ იკატორი შესაბამისობაშია.**
ისტ	სკოლა სრულად არის აღჭურვილი ყველა იმ რესურსით, რაც აუცილებელია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. მოსწავლეებს აქვთ წვდომა ინტერნეტზე, კომპიუტერებზე, პროექტორებსა და სხვა თანამედროვე ტექნიკაზე, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესს, განსაკუთრებით კი კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილების საინტერესოდ ჩატარებას. კომპიუტერული ტექნოლოგიების გაღრმავების მიზნით, დარჩეთის სკოლის შენობაში განთავსებული დაწყებითი კლასის ყველა მოსწავლე აქვს ბუკი, ასევე სკოლაში არის ლეპ-ტოპები და ინტერნეტი. სკოლაში აქტიურად გამოიყენება მრავალფეროვანი თეორიული მასალებიც. მოსწავლეები სწავლობენ ვიზუალური პროგრამირების საფუძვლებს (www.scratch.mit.edu, code.org, ეცნობიან ალგორითმების შექმნის პრინციპებს, იღრმავებენ ცოდნას კომპიუტერის აგებულებისა და მისი ფუნქციონირების შესახებ. ეს მიდგომა ხელს უწყობს როგორც პრაქტიკული უნარების, ისე თეორიული ცოდნის განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
ზოგადი განათლების	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დაწყებითი საფეხური	

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლაში დასაქმებულ ყველა პედაგოგს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. მათ შორის 23 უფროსი, 3 წამყვანი, 1 მენტორი მასწავლებელია. მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, რათა დაგეგმონ და გამოიყენონ სხვადასხვა დიფერენცირებული აქტივობების შესაბამისი რესურსები, განსაზღვრონ და შეაფასონ მათი ეფექტურობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში მოწყობილია რესურს ოთახი, სადაც სპეციალური მასწავლებელი უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეებს მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რესურსებით და ეხმარება მოსწავლეებს და საგნის მასწავლებლებს ამ რესურსების მიზნობრივად გამოყენებაში. სკოლის საინფორმაციო მენეჯერი უზრუნველყოფს კომპიუტერული ლაბორატორიის ხელმისაწვდომობას მთელი სასკოლო საზოგადოებისათვის და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებაში. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს მოსწავლეების და მასწავლებლებისთვის საჭირო ბეჭდური რესურსების ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის . კათედრის სხდომის ოქმი N1
- მეათე კლასის სპორტის კურიკულუმი განმავითარებელი შეფასებით
- სპორტდარბაზის ფოტო
- გარე სპორტული მოედნის ფოტო
- საინფორმაციო პლაკატების ფოტოები
- ბიბლიოთეკის ფოტო.
- ბრძანება N2-16 ბიბლიოთეკის მუშაობის წესის დამტკიცება
- კათედრის სხდომის ოქმი N1;

- კომპიუტერული ლაბორატორიის ფოტო;
- ბრძანება #2-16, ბიბლიოთეკის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება # 2-22კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესის შესახებ
- ბროშურის ბმული
- საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესში პრობლემების გადაჭრის საშუალებას

და მიმდინარეობს გაკვეთილებზე დაკვირვებით დირექციის მხრიდან, კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრებით და უკუკავშირისა და რეკომენდაციების გაცემით. სკოლას დაგეგმილი აქვს მომავალი სასწავლო წლიდან ამ პროცესებში აქტიურად ჩართოს დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი. შესაბამისად, მომავალი სასწავლო წლიდან კლასის მიღწევის დიაგნოსტირების პროცესი სისტემატიურ ხასიათს მიიღებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მასწავლებლებს აქვთ დიაგნოსტიკური წერების ჩატარების, გაკვეთილზე დასწრებისა და ანალიზის გამოცდილება. ასევე სკოლას გააჩნია თვითშეფასება; ანალიზის საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა, რომ სკოლის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის გზები სწორედ შეფასების შედეგად განსაზღვრონ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლას აქვს გამოცდილება, რომ მონიტორინგითა და შეფასებით მოახდინოს პრობლემის იდენტიფიცირება, დაადგინოს საჭიროება და უზრუნველყოს პოზიტიური უკუკავშირი, სათანადო დახმარებით; სასკოლო საზოგადოების ჩართულობით განსაზღვროს პრობლემის მოგვარების გზები და საშუალებები ურთიერთდასწრებებით, გამოცდილების გაზიარებით, შიდა ტრენინგებითა და შიდა სასკოლო კონფერენციებით. განსაზღვრული აქვს მონიტორინგისა და შეფასების პროცესში კვლავ აქტიურად ჩართოს სკოლის მოსწავლეები და მშობლები. რაც მოსწავლეთა მხარდაჭერასა და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას ემსახურება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-107 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება N1კ-28 ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმა
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა
- ურთიერთდასწრების ფორმა, რეფლექსია და უკუკავშირი;

- შიდა ტრენინგის გეგმა, რეფლექსია და უკუკავშირი;
- კათედრის სხდომის ოქმი N3;
- მე-4 კლასი, მათემატიკა, კურიკულუმი და მიღწევის დიაგნოსტირება;
- მასწავლებელთა კონფერენციის ამსახველი ფოტო მასალა.
- მე-11 კლასის ქიმიის კურიკულუმი განმავითარებელი შეფასების რუბრიკით.
- მე-12 კლასის ისტორიის კურიკულუმი, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, დიაგნოსტირება.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლაში შეფასება ხდება ინტეგრირებულად, ერთიანი და სისტემური მიდგომით და ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. ჰოლისტური შეფასებისას ფასდება რა მოსწავლის აკადემიური, პიროვნული, ფსიქო-ემოციური, ძლიერი და სუსტი მხარეები, ინტერესები, კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, საერთო განვითარება, ამისათვის საჭიროა მრავალფეროვანი წყაროები. ამ მიზნით სკოლა იყენებს შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე განხორციელებულ აქტივობებს, შემოქმედებით დავალებებს, შექმნილ სასწავლო პროდუქტებს (ალბომები, გამოფენები, დღიურები, ბუკლეტები, პოსტერები, კომიქსები ...), პროექტებს, პრეზენტაციებს, მოსწავლის პორტფოლიოს, მოსწავლეთა თვითშეფასებას, ურთიერთშეფასებას, ჯგუფური მუშაობას, დისკუსიას და სხვა. შეფასების პროცესებში მნიშვნელოვანადაა მიჩნეული სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც ინფორმაციის მიღების წყარო: მოსწავლეები, მასწავლებლები, სკოლის სხვა პერსონალი, საჭიროების შემთხვევაში თემი, მშობელი. სკოლის დირექცია, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ სკოლა გეგმავს შეფასება განახორციელოს სხვადასხვა კონტექსტით. მას აქვს გამოცდილება, თითოეულმა მასწავლებელმა სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით სისტემატიურად განახორციელოს მრავალმხრივი დაკვირვება მოსწავლეთა სწავლაზე და საჭიროების შემთხვევაში მათ მიაწოდოს კონსტრუქციული უკუკავშირი. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს, პრეზენტაციას. შეფასების პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს ყველა იმ გარემოებას, რაც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას, როგორიცაა სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სამუშაო სივრცე, არაფორმალური გარემო, კონკრეტული გაკვეთილი და სოციუმი, კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები. სრულყოფილი სისტემური ინფორმაციის მოგროვება უზრუნველყოფს დანერგვის პროცესში გამოყენებული კურიკულუმების შედეგის ამსახველი მასალების უტყუარობას, რაც შეფასების და მონიტორინგის შემუშავების პროცესში სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. ინტერვიურებისას გამოიკვეთა სკოლის ხედვა, რომ ეფექტიანი მონაცემთა შეგროვება გულისხმობს არა მარტო ქულების ან ტესტების გამოყენებას, არამედ მოსწავლის ყოველდღიური სწავლით მიღწევების, პროცესისა და ჩართულობის დაფიქსირებას, რომლის განსახორციელებლად მასწავლებლები იყენებენ შემდეგ საშუალებებს: დაკვირვება, საუბრები, მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები, ნახატები, პოსტერები, პორტფოლიოები, რომლებიც აჩვენებს, როგორ განუვითარდათ დროთა განმავლობაში უნარები, დაიხვეწა ტესტები, პრეზენტაციები, პროექტები და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში კურიკულუმების განხორციელების შედეგების შეფასებისას სასკოლო საზოგადოებისათვის პრიორიტეტულია თითოეული კომპონენტის, მიღწეული შედეგის, სასწავლო სიტუაციის შესწავლისას მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება, ამიტომ შეფასება ხდება არა მხოლოდ აკადემიური უნარების ჭრილში, არამედ დიდი ყურადღება ექცევა ფუნქციურ უნარებსაც. კერძოდ, რამდენად უწყობს ხელს ახალი სასწავლო მიდგომები მოსწავლის სააზროვნო უნარების განვითარებას და რამდენად მდგრადია ეს პროცესი. პროგრესის შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ მოვლენას და ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე.

როგორებიცაა, სოციუმი, ოჯახი, უსაფრთხოება, ტრადიციები. გამოიკვეთა, რომ კლასის ხელმძღვანელების მუშაობის შედეგად, სკოლა ფლობს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის სოციალური და ემოციური მდგომარეობის შესახებ. კათედრებზე სასწავლო პროგრამებისა და მეთოდების შედეგების ანალიზის დროს ითვალისწინებენ ყველა სხვა გარემოებას, რამაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მოსწავლის ამა თუ იმ დადებით ან უარყოფით შედეგზე. მასწავლებლები საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული უკუკავშირის სახით გასცემენ რეკომენდაციებს, რომლებშიც აუცილებლად ითვალისწინებენ ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება N2-107 კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- ბრძანება N1კ-28 ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ
- გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ფორმა
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა
- ურთიერთდასწრების ფორმა, რეფლექსია და უკუკავშირი;
- შიდა ტრენინგის გეგმა, რეფლექსია და უკუკავშირი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- ჰოლისტური შეფასების რუბრიკები;
- პროექტი, შეფასების რუბრიკა;
- შემოქმედებითი დავალების პირობა, განმავითარებელი შეფასება

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

.სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის შესაბამისად სკოლა გეგმავს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტის შექმნას, რაც გულისხმობს ისეთი მექანიზმის არსებობას, რომელიც მონიტორინგს გაუწევს კურიკულუმის შემუშავების და დაგეგმვის ეტაპებს, რომელიც ხორციელდება მასწავლებლებისა და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობით. ამ ფორმით მომავალი სასწავლო წლისათვის სკოლა ეფექტური მუშაობისათვის უფრო მეტად დახვეწავს ამ მექანიზმს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ კურიკულუმის დანერგვა და განხორციელება არის თანმიმდევრული პროცესი, ანუ საჭიროებს მუდმივ დაკვირვებას და მოდიფიცირებას სკოლის, საგნის და თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით. ამიტომ გროვდება და ზიარდება კურიკულუმების განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, რეკომენდაციები, წარმატებული შედეგები და მიდგომები, რომელიც გამოყენებული იქნება მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის. კათედრების ურთიერთთანამშრომლობით, სპეციალური მასწავლებლისა და დირექციის

წარმომადგენლების ჩართულობით მიღებული გამოცდილების საფუძველზე შემუშავებული იქნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- 25.07.2025 წლის წერილი N 5004325725 სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან ; (4 ფურცელი)
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა განახლებული
- გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობის წერილი

თარიღი: 08.09.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: